მწვანე ალტერნატივა

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

მაღნეული კანონზე მაღლა

თბილისი
2013

ანგარიში მოამზადა მწვანე ალტერნატივამ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს” მხარდაჭერით განხორციელებული კოალიციური პროექტის – „ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა” – ფარგლებში. კოალიციური პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებია: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, მწვანე ალტერნატივა, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი ”ღია საზოგადოება-საქართველოს” ან პარტნიორი ორგანიზაციების შეხედულებათა ამსახველად.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2013

მადნეული კანონზე მაღლა

სარჩევი

შესავალი 2

პრივატიზება კანონდარღვევით 3

საპრივატიზებო პირობების შესრულება 5

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა 6

შეთანხმება გარემოს წინააღმდეგ 8

გამონაკლისი შემოწმებებიდან 15

საყდრისი - მოგვარებული პრობლემა 16

წერილი პრემიერ-მინისტრს 17

პრემიერ-მინისტრის დავალება და პრეზიდენტის თანხმობა 18

კომისიის დასკვნა 21

პრობლემა მოგვარებულია 26

სამართლებრივი დავა პრემიერ-მინისტრის არასამართლებრივი ჩარევით 27

შესავალი

მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალების საბადო მდებარეობს ბოლნისის რაიონში, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 80 კმ-ის დაშორებით. მადნეულის საბადოს შესწავლა გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. 1959 წელს დაიწყო ფერადი ლითონების ერთ-ერთი უდიდესი – მადნეულის კომბინატის მშენებლობა. კომბინატის მშენებლობასთან დაკავშირებით, სრულიად უკაცრიელ ტერიტორიაზე დაარსდა დიდი სამრეწველო დასახლება – დაბა კაზრეთი. 1975 წელს ექსპლუატაციაში შესული კომბინატი ახორციელებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მოპოვებული სპილენძის და ბარიტის მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და მიღებული პროდუქტის რეალიზაციას. ბარიტის მოპოვება 1990 წელს შეწყდა. 1994 წელს შეიქმნა "კვარციტი", რომელმაც დაიწყო ცალკე დასაწყობებული ოქროსშემცველი კვარციტის მადნებიდან ოქროსა და ვერცხლის დორეს მიღება გროვული გამოტუტვის მეთოდით. "მადნეულის" საწარმოსთან 1996 წლიდან ფუნქციონირებს საწარმო "ეკოლოგი", რომელიც ახორციელებს კარიერული და სანაყაროსქვეშა მჟავე კარიერული წყლების ნაწილის შეგროვებას და გადამუშავებას, მისგან სპილენძის ამოღების მიზნით.

2005 წელს „მადნეულისა" და „კვარციტის" პრივატიზების შედეგად საწარმოების მფლობელი გახდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე (ოფშორულ ზონაში) რეგისტრირებული კომპანია „სთენთონ იქვითიზ ქორფორეიშენს" რუსული „პრომიშლენი ინვესტორის" შვილობილი კომპანია. 2012 წლიდან კი საწარმოების მფლობელი კვლავ რუსული კომპანია „კაპიტალ ჯგუფი" გახდა. 2012 წელს მფლობელის გამოცვლასთან დაკავშირებით სს"მადნეულს" დაერქვა RMG Copper-ი, ხოლო შპს „კვარციტს" RMG Gold-ი.

წლების განმავლობაში საწარმოების საქმიანობის ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების შესწავლა სხვადასხვა კომისიებისა თუ სამართალდამცავი ორგანოების შესწავლის საგანი იყო, თუმცა საწარმოში შექმნილი უკიდურესად მძიმე სიტუაციის გამოსწორება ვერ, თუ არ ხერხდებოდა.

„მადნეული" და „კვარციტი" ერთ-ერთი პირველი საწარმოები იყო, სადაც 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მთავრობამ მდგომარეობის გამოსასწორებლად კორუფციის აღმოფხვრასა და მმართველობის გაუჯობესებაზე დაიწყო ზრუნვა. დღეისათვის ამ საწარმოებში კორუფციის არსებობაზე აღარავინ საუბრობს, თუმცა, კომპანიების მიმართ სახელმწიფო უწყებების განსაკუთრებული „კეთილგანწყობა" და ლოიალური დამოკიდებულება ელიტური კორუფციის არსებობის ეჭვს აჩენს. შემდეგ თავებში წარმოგიდგენთ 2003 წლიდან დღემდე საწარმოებთან მიმართებაში როგორ არღვევნენ და/ან არ ასრულებდნენ სახელმწიფო უწყებები კანონის მოთხოვნებს და რა სახის პრივილეგიებით სარგებლობდნენ „მადნეულისა" და „კვარციტის" მფლობელები.

პრივატიზება კანონდარღვევით

წლების განმავლობაში მადნეულისა და კვარციტის საქმიანობის ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების შესწავლა სხვადასხვა კომისიებისა თუ სამართალდამცავი ორგანოების შესწავლის საგანი იყო, თუმცა საწარმოში შექმნილი უკიდურესად მძიმე სიტუაციის გამოსწორება ვერ, თუ არ ხერხდებოდა.

2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ დაიწყო მსხვილ საწარმოებში ახალი სამეთვალყურეო საბჭოების დანიშნვა. ამ საწარმოთაგან ერთ-ერთი პირველი მადნეული და კვარციტი იყო. ახალ სამეთვალყურეო საბჭოს უნდა უზრუნველყო საწარმოში კორუფციის აღმოფხვრა და მენეჯმენტის შეცვლა და საწარმოები პრივატიზებისათვის მოემზადებინა. 2004 წლის ოქტომბერში საწარმოების გენერალურ დირექტორად დაინიშნა კობა ნაყოფია, რომელიც 2003 წლიდან რუსული კომპანია "პრომიშლენი ინვესტორის " ვიცე-პრეზიდენტი იყო.

კობა ნაყოფიას დანიშვნიდან 8 თვეში, 2005 წლის მაისში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოაქვეყნა მოწვევა/განაცხადი შპს "კვარციტის" (50%), სს "მადნეულის" (97,25%), და მისი შვილობილი კომპანიების: შპს "სამთამადნო კომპანია" (100%), შპს "ბელაზაკავკზტრანსსერვისი" (100%, საქმიანობა - მოპოვებული მადნის ტრანსპორტირება), შპს "გარდი" (100%, საქმიანობა - მოპოვებული მადნის ტრანსპორტირება), შპს "ტრანსფეთქმზიდი" (100% - ბურღვა-აფეთქებითი საქმიანობა), შპს "ეკოლოგი" (51%, საქმიანობა - წყლის გაფილტვრა-ნეიტრალიზება და სპილენძის კონცენტრატის მიღება), შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი" (50%), შპს "ტრანს ჯორჯიან რესორსი" (50%, კომპანია ფლობს ლიცენზიას სამთამადნო საქმიანობაში საყდრისის საბადოზე), და შპს "თბილისის საიუველირო ქარხანა" – პრივატიზების ინტერსთა გამოხატვაზე.

განაცხადით დაინტერესება 21-მა ადგილობრივმა და უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა, რომლებთან მოლაპარაკებებს სამინისტრო სამი თვის განმავლობაში აწარმოებდა. 2005 წლის სექტემბერში სანიმისტრომ შეწყვიტა მოლაპარაკებები და გამოაცხადა საწარმოების კონკურსის წესით გაყიდვის შესახებ.

2005 წლის 21 სექტემბერს გამოცხადდა კონკურსი სს "მადნეულის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის 97,25%-ის (12 477 682 ცალი ერთდოლარიანი აქცია) და შპს "ტრანს ჯორჯიან რესორსის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 50% წილის პრივატიზების შესახებ. საწარმოების ერთობლივ საწყის ფასად განისაზღვრა 32 500 000 აშშ დოლარი, ხოლო საკონკურსო პირობებად:

- სს "მადნეულის" საქმიანობის პროფილის შენარჩუნება 3 წლის განმავლობაში;
- მყიდველის მიერ საპრივატიზებო თანხის 50%-ის დაფარვა 2005 წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო დარჩენილის 50%-ის დაფარვა 2005 წლის 15 დეკემბრამდე;
- სს "მადნეულში" დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა სახელფასო ფონდის არშემცირება 3 წლის განმავლობაში;
- ლიცენზიისა და წიაღით სარგებლობის საპროექტო მახასიათებლების დაცვის, მათი გაუმჯობესებისა და არსებული დარღვევების აღმოფხვრის, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაქსიმალურად თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით გარემოს დაცვისა და წიაღით სარგებლობის კანონმდებლობის, აგრეთვე აღნიშნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მოთხოვნათა განუხრელი შესრულების უზრუნველყოფა;
- სს "მადნეულის" პრივატიზაციის პროცესის დამთავრებიდან 3 თვის ვადაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან კონსულტაციების საფუძველზე, შემუშავებული და ამავე სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნას გარემოს უსაფრთხოების პროგრამა, რაც მოიცავს ატმოსფერული ჰაერის დაცვას, ჩამდინარე წყლების გაწმენდას, ნარჩენების მართვას, ავარიული სიტუაციების თავიდან აცილებას, გარემოსდაცვითი მართვის სისტემების დანერგვას;
- დამტკიცებული პროგრამა ეტაპობრივად განხორციელდეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან მისი შეთანხმებიდან არაუმეტეს 21 თვეში;
- კონკურსში მონაწილის მიერ, კონვერტით წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტულად დაფიქსირებული გამოსასყიდი თანხა.

ასევე განაცხადში მითითებული იყო, რომ სს "მადნეულის" დებიტორული დავალიანება შეადგენდა 43 614 831 ლარს, ხოლო კრედიტორული – 28 702 266 ლარს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსზე გასაყიდად გამოტანილ ობიექტთა შორის აღარ ფიგურირებდა შპს "თბილისის საიუველირო ქარხანა", რომელიც მოგვიანებით ცალკე იქნა გატანილი აუქციონზე. შპს "თბილისის საიუველირო ქარხანა", რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 8 691 010 ლარს, 2 020 000 აშშ დოლარად 2006 წლის 16 მაისს ჩატარებული აუქციონის შედეგად შეიძინა აუქციონის ერთადერთმა

მონაწილემ - იმ დროისთვის სს ‘მადნეულის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, კობა ნაყოფიას მიერ დაფუძნებულმა შპს “გოლდინვესტმა”.

2011 წლის თებერვალში მწვანე ალტერნატივამ მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მოითხოვა 2006 წლის 16 მაისს გამართული აუქციონის შედეგად თბილისის საიუველირო ქარხნის პრივატიზების მიზნით გოლდინვესტთან დადებული ხელშეკრულების ასლი. საჯარო ინფორმაციის მოთხვნიდან თითქმის სამი თვის შემდეგ მწვანე ალტერნატივას აცნობეს[1], რომ *„მოთხოვნილი ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს არქივში არ იძებნება“*. საინტერესოა, რომ ხელშეკრულების დოკუმეტი ხელმისაწვდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრის ვებ-გვერდზე თბილისის საიუველირო ქარხნის (ამჟამად, ზარაფხანა დეველოპმეტის) სარეგისტრაციო დოკუმენტებში.

2005 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიხსნა საპრივიტიზაციო პაკეტები. როგორც აღმოჩნდა, წინა განაცხადით დაინტერესულ კომპანიათა ვრცელი სია მნიშვნელოვნად შემცირდა და სამინისტროს მხოლოდ ორი კომპანიის – სთენთონ იქვითიზ ქორფორეიშენისა და ენერგია და ინდუსტრია კომაპლექსის, წინადადებებს შორის უნდა ამოერჩია ღირსეული.

2005 წლის 1 ნოემბერს გამარჯვებულად გამოცხადდა ბრიტანული კომპანია სტენტონ იქვითის ქორფორეიშენი. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მხოლოდ კომპანიის გამარჯვების შემდეგ გაირკვა, სტენტონ იქვითის ქორფორეიშენი წარმოადგენს რუსული პრომიშლენი ინვესტორის შვილობილ კომპანიას. ამავდროულად შეგახსენებთ, რომ პრომიშლენი ინვესტორის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი 2004 წლის ოქტომბერიდან სს მადნეულის პრივატიზების შესახებ განაცხადის გამოქვეყნების დღემდე საწარმოს გენერალური დირექტორის პოსტზე იმყოფებოდა[2].

ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ მიღებული გადაწყვეტილება შემდეგით ახსნა: “გამარჯვებული კომპანიის მიერ გადახდილი თანხიდან - 35 100 000 აშშ დოლარი მოხმარდება აქციათა შესყიდვას, ხოლო 16 000 000 აშშ დოლარით გასტუმრებული იქნება სს მადნეულის სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანება. ქართული კომპანია ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის წინადადებაში ნათქვამი იყო, რომ კომპანია გადაიხდიდა 36 000 000 აშშ დოლარს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საბიუჯეტო დავალიანება 8,6 მილიონ ლარს არ აღემატებოდა. ამდენად, ენერგია და ინდუსტრია კომპლექსთან შედარებით 10,5 მილიონი აშშ დოლარით მეტი თანხის გადახდამ განაპირობა სტენტონ იქვითის ქორფორეიშენის გამარჯვება”.

კონკურსში დამარცხებული კომპანია აცხადებდა, რომ სამინისტრომ ბრიტანულ-რუსულ სტენტონ იქვითის ქორფორეიშენის უპირატესობა უსამართლოდ მიანიჭა, ვინაიდან ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა სამინისტროს ბევრად უკეთესი და იურიდიულად გამართული პირობები შესთავაზა. ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრებას სასამართლოში აპირებდა, თუმცა, სამომავლო ბიზნეს-ინტერსების გამო, მალევე გადაიფიქრა.

ყველაზე საინტერესო ამ სიტუაციაში ის იყო, რომ “სს “მადნეულის” სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის 97,25%-ის (12 477 682 ცალი ერთდოლარიანი აქცია) და შპს “ტრანს ჯორჯიან რესორსის” სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 50% წილის პრივატიზების შესახებ” საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 19 სექტემბრის # 1-1/1013 ბრძანების მიხედვით (რომლის საფუძველზე 2005 წლის 21 სექტემბერს გამოცხადდა კონკურსი), საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები იყო: “(ა) მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის გასაყიდ ფასს” და “(ბ) ვალდებულების აღება საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებაზე”. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, ლოგიკურად, გამარჯვებული ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი უნდა ყოფილიყო, რადგან ის აქციათა შესყიდვისათვის 900 000 აშშ დოლარით მეტის გადახდას აპირებდა, ვიდრე სტენტონ იქვითის ქორფორეიშენი. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გადაწყვეტილება თავისივე ბრძანების დარღვევით მიიღო. თუმცა, დაშვებული შეცდომა მოგვიანებით გამარჯვებულმა კომპანიამ “გამოასწორა”; 2005 წლის 11 ნოემბერს სტენტონ იქვითის ქორფორეიშენსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის დადებულ საპრივატიზაციო ხელშეკრულებაში ვკითხულობთ: *“”მხარეები” ადასტურებენ, რომ “ქონების” მთლიანი საფასური შეადგენს ოცდათხუთმეტი მილიონ ასი ათას (35 100 000) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, რაც წარმოადგენს “მყიდველის” მიერ საკონკურსო განაცხადში შეთავაზებულ თანხას, პლუს ცხრაას ათი ათას (910 000) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, რომელიც დამატებით ნებაყოფლობით*

[1] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის 2011 წლის 19 მაისის წერილი #08/9865 - მწვანე ალტერნატივას 2011 წლის 25 თებერვლის მოთხოვნაზე პასუხად.

[2] სს “მადნეულის” გენერალური დირექტორის მოვალეობას 2005 წლის 20 სექტემბრიდან (კონკურსის გამოცხადების წინა დღიდან) ლაშა ახალაძე ასრულებდა.

იქნა შეთავაზებული "მყიდველის" მიერ და რაც ჯამში შეადგენს ოცდათექვსმეტი მილიონ ათი ათას (36 010 000) აშშ დოლარს."

გარდა იმისა, რომ სამინისტრომ კონკურსის პირობების მიხედვით არასწორი არჩევანი გააკეთა, მას საერთოდ არ უნდა განეხილა არცერთი კომპანიის წინადადება, რადგან ორივე კომპანიამ გადახდის პირობად ვალის შემცირება დაასახელა. საკონკურსო განაცხადის მიხედვით, აღნიშნული საკითხი საერთოდ არ უნდა ყოფილიყო მსჯელობის საგანი. სამინისტრომ, ფაქტიურად, საკონკურსო წინადადებების პაკეტების გახსნის შემდეგ შეცვალა საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმი.

საპრივატიზებო პირობების შესრულება

უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული პრივატიზაციებიდან, სს მადნეულის პრივატიზება იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საპრივატიზაციო ობიექტის საკონსურსო პირობებში ჩადებულ იქნა ახალი მესაკუთრის მიერ გარკვეული გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების ვალდებულება. სტენტონ იქვითის ქორპორეიშენსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის 2005 წლის 11 ნოემბერს დადებული საპრივატიზაციო ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებული იყო ხელშეკურების გაფორმებიდან 3 თვის განმავლოვაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან კონსულტაციების საფუძველზე, მოემზადებინა და დასამტკიცებლად წარედგენა გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პროგრამა (პროგრამაა უნდა მოეცვა ატმოსფერული ჰაერის დაცვასათვის, ჩამდინარე წყლების გაწმენდა-დასუფთავებისათვის, ნარჩენების მართვა-გადამუშავებასათვის, ავარიული სიტუაციების თავიდან აცილებისა და გარემოსდაცვითი მართვის სისტემების დანერგვისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები). პროგრამის დამტკიცებიდან არაუმეტეს 21 თვის განმავლობაში უნდა უზრუნველეყო მისი განხორციელება.

პროგრამის მომზადებისა და დამტკიცების საპრივატიზებო პირობა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადიდან 11 თვის დაგვიანებით შესრულდა, თუმცა, კომპანიას ამის გამო საქნციები არ დაკისრება. პირიქით, "ეკოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის" (დოკუმენტი, სადაც 17 წინადადებაში იყო ჩამოთვლილი განსახორციელებელი ქმედებები) შემუშავების ფაქტი გარემოს დაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა, დავით ტყეშელაშვილმა საზოგადოებას კომპანიის ინიციატივად გააცნო და პროგრამის დამტკიცება 2007 წლის 10 თებერვალს სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენთან (საწარმოს იმჟამინდელ გენერალურ დირექტორთან, კობა ნაყოფიასთან) განზრახულობათა შესახებ მემორანდუმის ხელმოწერით დაადასტურა.

მემორანდუმის ტექსტის თანახმად, დოკუმენტი ფორმდებოდა სტენტონ იქვითიზ ქორპორეიშენსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-15 მუხლის მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესრულების მიზნით (საწარმოს უნდა აეღო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა 2009 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად).

მწვანე ალტერნატივა 2007 წლის ანგარიშში წერდა, რომ ორგანიზაციის აზრით, სამინისტრომ დროულად არ გამოიყენა ის უფლება, რომელსაც მას „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენსა" და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის 2005 წლის 11 ნოემბერს დადებული საპრივატიზაციო ხელშეკრულება ანიჭებდა – სამინისტრომ არ მოახდინა რეაგირება ხელშეკრულების იმ პირობის შეუსრულებლობაზე, რომელიც მის კომპეტენციაში შედიოდა. ამასთან, ყოვლად გაუგებარი იყო კომპანიასთან მემორანდუმის გაფორმების საფუძველი, ვინაიდან ის არ იყო დაკავშირებული მხარეების მიერ რაიმე ახალი ვალდებულების აღებასთან. სავარაუდო იყო, რომ მემორანდუმის გაფორმება მხოლოდ "პიარზე" მიმართული ღონისძიება იყო, რომელსაც სამინისტროსა და კომპანიის ვალდებულებების შეუსრულებლობა საზოგადოებისათვის უნდა წარმოეჩინა, როგორც სამინისტროს კარგი მუშაობის შედეგი და კომპანიის კეთილი ნების გამოხატულება.

სამწუხაროდ, მწვანე ალტერნატივას ვარაუდი გამართლდა. მწვანე ალტერნატივას წერილზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ინტეგრირებული მართვისა და ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსის პასუხის[3] თანახმად, *„მემორანდუმი არ წარმოადგენს იურიდიულ ხელშემკვრელ დოკუმენტს და აღნიშნული მემორანდუმების დადება მიზნად ისახავდა ორი მხარის კეთილი ნების გამოხატვას, რათა ურთიერთხელშეწყობით მიღწეულ იქნას კანონმდებლობით უკვე გაწერილი ვალდებულებების დროული შესრულება... გამომდინარე აღნიშნულიდან, მემორანდუმით გაწერილი ქმედებების შესრულების ანალიზი არ მიმდინარეობს სამინისტროში".*

[3] გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გარემოს სამინისტროს გარემოს ინტეგრირებული მართვისა და ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსის2008 წლის 15 აპირილის წერილი №06-13/265

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა

2007 წელს მიღებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის[4] თანახმად, სს მადნეულს და შპს კვარციტს, როგორც სუბიექტებს, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიური ექსპერტიზის და რომლის განხორციელებაც დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 2009 წლის 1 იანვრამდე უნდა აეღოთ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ნებართვის მისაღებად საწარმოებს უნდა წარედგინათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი (ეკოლოგიური აუდიტი), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმა.

აღსანიშნავია, რომ 2005 წელს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის მიღებით შეიცვალა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურა და გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის შესახებ, ნაცვლად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისა, მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით (რაც გამორიცხავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას და არათუ საკითხის შესახებ, არამედ თავად პროცესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას). ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული გამოაქვეყნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალები და ვადები. თუმცა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მწვანე ალტერნატივამ ისარგებლა ამ შესაძლებლობით და წინასწარ მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და როგორც დაინტერესებულმა მხარემ, მოითხოვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად სამინისტროში როგორც კონკრეტულად ამ საწარმოების[5], ასევე ნებისმიერი სხვა ობიექტის მიერ წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, სამინისტრომ დროულად არ აცნობა ორგანიზაციას მადნეულისა და კვარციტისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და დროულად არ მიაწოდა განსახილველი დოკუმენტები.

სს „მადნეულისა" და შპს „კვარციტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშები მწვანე ალტერნატივას მხოლოდ 2008 წლის 27 იანვარს მიეწოდა, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსის შემდეგი განმარტებით: *„გაცნობებთ, რომ სს „მადნეულმა" და შპს „კვარციტმა" სანებართვოდ დოკუმენტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარმოადგინეს 30 დეკემბერს. ვინაიდან აღნიშნულ საწარმოებზე მიმდინარეობს ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურა გთხოვთ, პირობების წარმოდგენა მოხდეს უმოკლეს დღეებში"*. ორგანიზაციას არ ეცნობა, რა ვადა იგულისხმებოდა *„უმოკლეს დღეებში"*, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კანონის თანახმად, პროცედურამ 20 დღეს არ უნდა გადააჭარბოს, ცხადია იყო, რომ შენიშვნების წარდგენისთვის მწვანე ალტერნატივას, ფაქტიურად, დრო არ მიეცა. ამით მწვანე ალტერნატივას შეეზღუდა სს "მადნეულისა" და შპს "კვარციტისათვის" გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობა.

ყოველივე აღნიშნულის გამო, მწვანე ალტერნატივამ წერილით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, გოგა ხაჩიძეს და სთხოვა, გამოეკვლია ამ კონკრეტული გზშ ანგარიშების მწვანე ალტერნატივასთვის ასეთი დაგვიანებით მოწოდების მიზეზები. მწვანე ალტერნატივა წერილში აღნიშნავდა, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური დაინტერესებული უნდა ყოფილიყო, ჩაერთო საზოგადოება ნებართვების გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მიეღო რაც შეიძლება მეტი კომენტარი სანებართვოდ წარგენილ განცხადებებზე, რაც სამსახურს არათუ ხელს შეუშლიდა, არამედ პირიქით, დაეხმარებოდა დასაბუთებული და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. გზშ ანგარიშების ასეთი დაგვიანებით მიწოდების გამო, მწვანე ალტერნატივა გამოთქვამდა ვარაუდს, რომ სამსახური არ იყო დაინტერესებული არც იმ დახმარებით, რაც საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფით იყო შესაძლებელი და არც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სწორი გადაწყვეტილებების მიღებით.

---

[4] 22-ე მუხლი

[5] 2008 წლის 7 ნოემბრის №04/09-55 წერილით, მწვანე ალტერნატივამ მოითხოვა უშუალოდ სს „მადნეულის" მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების მიზნით სამინისტროში წარდგენისთანავე სრული დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციული წარმოების ვადების თაობაზე ინფორმაციის მოწოდება; 2008 წლის 15 იანვრის №04/09-58 წერილით, ორგანიზაციამ მოითხოვა შპს „კვარციტისათვის" გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და განმეორებით მოითხოვა სს „მადნეულისათვის" გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა.

მიუხედავად გზშ ანგარიშების მიწოდებასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სირთულეებისა, მწვანე ალტერნატივამ მაინც წარადგინა თავისი მოსაზრებები როგორც სს "მადნეულისა" და შპს "კვარციტის" მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე, ასევე თავად ნებართვების გაცემის პროცესზე. კერძოდ, მწვანე ალტერნატივა თვლიდა, რომ განსახილველად წარდგენილი დოკუმენტები - სს "მადნეულისა" და შპს "კვარციტის" საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები - არ პასუხობდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ამდენად, ორგანიზაციას დაუშვებლად მიაჩნდა ამ საქმიანობებზე, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნების და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემა.

მწვანე ალტერნატივამ მინისტრს შეახსენა, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის თანხმად, სს „მადნეულსა" და შპს „კვარციტს" გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოსაპოვებლად უნდა წარედგინათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას.

სს „მადნეულის" მიერ სამინისტროში წარდგენილ გზშ ანგარიშში მხოლოდ ნახსენები იყო, რომ ეკოლოგიური აუდიტი ჩატარდა. რაც შეეხება შპს"კვარციტის" გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს, აქ ეკოლოგიური აუდიტი ნახსენებიც კი არ იყო და ალბათ ვერც იქნებოდა, რადგან დოკუმენტი 1999 წელს მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი ანგარიშის თითქმის სრული ასლი იყო. მწვანე ალტერნატივას მიაჩნდა, რომ სს „მადნეულისა" და შპს „კვარციტის" საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასება დაუშვებელი იყო ეკოლოგიური აუდიტის გარეშე. იგივეს ითხოვდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას.

მწვანე ალტერნატივა მოუწოდებდა მინისტრს, არ მიეღო გარემოს ერთ-ერთი უდიდესი დამაბინძურებელი საწარმოებისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება ნაჩქარევად და გაუმჭირვალედ, რადგან ეს პროცესი იყო სამინისტროს ერთადერთი ბერკეტი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა საწარმოების ფუნქციონირებით გამოწვეული გარემოს დაბინძურების შემცირებას. ამდენად, მნიშვნელოვანი იყო, რომ სამინისტროს მოეთხოვა კომპანიისათვის კანონის მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა და ამასთან ერთად, გადაწყვეტილება მიეღო საზოგადოების ადექვატური, დროული და ეფექტური ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფით, როგორც ამას ორჰუსის კონვენცია მოითხოვდა.

მინისტრისადმი მიწერილ წერილში მწვანე ალტერნატივა ასევე, გამოთქვამდა იმედს, რომ სამინისტრო არ გაუწევდა ანგარიშს კომპანიის სპეკულაციურ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო არ გასცემდა ნებართვას, საწარმო გაჩერდებოდა და საფრთხე შეექმნებოდა მთელ ბოლნისის რაიონს (ეს მოსაზრება არაერთხელ გაჟღერდა საჯარო განხილვებზე). ორგანიზაციას მიაჩნდა, რომ სინამდვილეში, ბოლნისის რაიონი უკვე არის დიდი საწარმოების ნეგატიური ზემოქმედების ქვეშ და არსებულზე უფრო მეტი საფრთხე სწორედ მაშინ დაემუქრებოდა, თუკი გარემოზე ზემოქმედების ნებართვები გაიცემოდა ფორმალურად (როგორც სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ხდება) რეალური საფრთხეებისა და პრობლემების გაანალიზებისა და ნებართვების პირობებში ასახვის გარეშე. ამასთან, ნებართვების დროულად ვერ მოპოვების გამო გადასახდელი ჯარიმა და აგრეთვე ხარისხიანი დოკუმენტების შესაქმნელად გასაწევი ხარჯები, არ წარმოადგენდა ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გამოიწვევდა საწარმოთა გაჩერებას.

სამწუხაროდ, მწვანე ალტერნატივას ზემოთ მოყვანილი არგუმენტები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არ გაიზიარა და სამინისტროში ჩატარებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნების საფუძველზე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვები გასცა. სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადებაში მონაწილე ექსპერტებისთვის, როგორც აღმოჩნდა, "მადნეულისა" და "კვარციტის" შეუფერხებელი მუშაობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამ საწარმოების „შეუფერხებელი" მუშაობით საქართველოს გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი.

შეთანხმება გარემოს წინააღმდეგ

2004 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყნის მთავრობის მიერ ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართულმა კურსმა თავისი ზეგავლენა იქონია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაზეც. საკანონმდებლო ცვლილებების უმეტესობა დაკავშირებული იყო ქვეყნის მთავრობის მიერ აღებულ ეკონომიკის სრული ლიბერალიზაციის და დერეგულაციის კურსთან და სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების ყველა შესაძლო საშუალებით (მათ შორის, ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ათვისების გზით) გაზრდის სურვილთან. გარდა იმისა, რომ ეს ცვლილებები განხორციელდა გაუმჭვირვალედ და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გარეშე, თავად ცვლილებები იყო მიმართული საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის არსებული შესაძლებლობების მინიმუმადე დაყვანისაკენ.

გარდა ამისა, გადაულახავ ბარიერად დარჩა კანონაღსრულების სათანადო უზრუნველყოფა, რაც სახელმწიფო სტუქტურებში ძლიერი მფარველის არსებობის შემთხვევაში საწარმოებისათვის ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე გარემოს დაბინძურების შესაძლებლობას იძლეოდა. 2011 წლის მარტის შემდეგ კი, რაც გარემოსდაცვითი კონტროლის უფლება გარემოს დაცვის სამინისტროსა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის გადანაწილდა, ეს სფერო სრულმა ქაოსმა მოიცვა.

2012 წლის დასაწყისისთვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კონტროლის თვალსაზრისით მდგომარეობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ გაუარესება თითქოსდა შეუძლებელი იყო, მაგრამ... 2012 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის საფუძველზე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ნებისმიერ სამართალდამრღვევს გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ მიეცა პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების შესაძლებლობა. დემოკრატიის განვითარებასა და კორუფციასთან ბრძოლაში არაერთი მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა ქვეყანამ მიიღო კანონი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, გარემოს დაცვის საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებულ თუ დადგენილ გარემოს დაცვის ყველა ძირითად პრინციპს. უფრო მეტიც, კანონი შეიცავდა გარემოსდაცვითი, კორუფციული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის რისკებსა და საფრთხეებს.

კანონის მიღებისას საჯარო უწყებები საზოგადოებას უმტკიცებდნენ, რომ კანონის საფუძველზე შეთანხმების გაფორმება მხოლოდ უმნიშვნელო მასშტაბის სამართალდარღვევაზე იქნებოდა შესაძლებელი და ეს იყო მცირე საწარმოების გაკოტრებისგან გადარჩენის ერთადერთი საშუალება. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, პირველივე შეთანხმება ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოებთან (რომლებიც, ამავდროულად გარემოს ერთ-ერთ უმსხვილესი დამაბინძურებელნი არიან) სს"მადნეულთან" და შპს „კვარციტთან" გაფორმდა.

ზემოხსენებული „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც შემოღებულ იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილი კანონდარღვევის შესახებ შეთანხმება, ძალაში 2012 წლის 30 მარტს შევიდა. კანონი იმდენად ბუნდოვანი, დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივი იყო, ნათელი იყო, რომ არაერთი ამგვარი ცვლილების მსგავსად, ესეც კონკრეტული სუბიექტების ინტერესებს ემსახურებოდა და ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ამ ცვლილებითაც მალე ისარგებლებდა „დაინტერესებული პირი". ჯერ კიდევ კანონპროექტის განხილვისას ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების იმჟამინდელი მინისტრის, ალექსანდერე ხეთაგურისა და გარემოს დაცვის იმჟამინდელი მინისტრის, გოგა ხაჩიძის მიერ საჯაროდ გაცხადებული დაპირების შესაბამისად, საზოგადოება ელოდებოდა შეთანხმებების დადების ღია, საჯარო პროცესს.

კანონის ამოქმედებიდან 2 თვის თავზე, 2012 წლის მაისის ბოლოს მწვანე ალტერნატივამ მიმართა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში დადებული ხელშეკრულებების ან ხელშეკრულების დადებისათვის მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ. ამასთან დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში ორგანიზაცია ითხოვდა შეთანხმების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების ამსახველ სრული დოკუმენტაციის ასლს, მათ შორის - პირის მიერ შეთანხმების დადების თაობაზე განცხადებას, შეთანხმების ტექსტს და შეთანხმების დადების პროცესში შექმნილ ყველა ოფიციალურ დასკვნას, შეფასებას, ანგარიშს თუ მოხსენებით ბარათს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან კანონით დადგენილ ვადაზე გაცილებით მეტი დრო გავიდა, თუმცა მწვანე ალტერნატივამ პასუხი ვერ მიიღო. ამიტომ ორგანიზაციამ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა. საჩივრის გაგზავნიდან ერთი კვირის შემდეგ[6] მწვანე ალტერნატივამ მიიღო მინისტრის მოადგილის, ნინო ენუქიძის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: *„"გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისთ სარგებლობის სფეროში" დადებულია ერთი შეთანხმება, ერთის მხრივ,*

[6] წერილი დათარიღებულია 2012 წლის 10 ივლისით. მწვანე ალტერნატივას წერილი ინფორმაციის მოთხვნის თაობაზე გაგზვანილი იყო 2012 წლის 25 მაისს.

სს „მადნეულს“ და შპს „კვარციტს“ შორის და მეორეს მხრივ, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის. დანართის სახით გიგზავნით აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით სამინისტროში არსებულ დოკუმენტაციას“. წერილს თან ერთოვოდა:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურისათვის გაგზავნილი სს“მადნეულისა“ და შპს “კვარციტის“ ერთობლივი ორწინადადებიანი განხადება, რომელშიც აღნიშნული იყო: *„მოგმართავთ გარემოს დაცვის შესახებ საქარართველოს კანონის 57[11]* მუხლის საფუძველზე და გთხოვთ, გაგვიფორმოთ ამავე კანონის 57[10] მუხლი გათვალისწინებული შეთანხმება 1994 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 14 მაისამდე. ამასთან, აღნიშნული შეთანხმების სანაცვლოდ მზად ვართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად, თანაბარი პროპორციით, გადავიხადოთ კომპენსაცია საერთო ჯამში 13 (ცამეტი) მილიონი ლარის ოდენობით, არაუგვიანეს 2014 წლის მარტისა, ურთიერთშეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად“. განცხადებას თან ერთვის გადახდების გრაფიკი და საწარმოების მიერ გასატარებეილი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი;
2. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ნიკა გიულაურის 2012 წლის 14 მაისის ბრძანება შეთანხმების დადების თაობაზე და;
3. პრემიერ მინისტრის ბრძანების საფუძველზე ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სს“მადნეულსა“ და შპს „კვარციტს“ შორის გაფორმებული შეთანხმების დოკუმენტი, რომელსაც ერთვის კომპანიების მიერ განაცხადთან ერთად წარდგენილი თანხის გადახდისა და განსახორციელებელი ქმედებების გრაფიკი უცვლელი სახით.

ვინაიდან მოწოდებული დოკუმენტაცია სრულად არ ასახავდა შეთანხმების დადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, მწვანე ალტერნატივამ არ გამოიხმო საჩივარი და დანარჩენი დოკუმენტების მოწოდება მოითხოვა. გაუგებარია როგორ მოახერხა ეს ადმინისტრაციულმა ორგანომ, მაგრამ როგორც საჩივრის განხლვისას გაირკვა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში არ არსებობდა ამ პროცესთან დაკავშირებული რაიმე სხვა დოკუმენტი (დასკვნა, შეფასება, მოხსენებითი ბარათი, ან თუნდაც განაცხადის ვიზირების ამსახველი დოკუმენტი).

მწვანე ალტერნატივასათვის გადაცემული დოკუმენტებიდან და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ირაკლი ხმალიძის[7] ოფიციალური განმარტების თანახმად, მოვლენები შემდეგი თანმიმდევრობით ვითარდებოდა:

1. სს “მადნეულისა“ და შპს “კვარციტის“ ხელმძღვანელობამ 2012 წლის 14 მაისს მიმართა ენერგეტიკის მინისტრს შეთანხმების დადების თხოვნით. საწარმოები არ მიუთითებდნენ იმ კანონდარღვევებზე რომელთა კანონიერად მიჩნევასაც ითხოვდნენ 13 მილიონი ლარის სანაცვლოდ. განცხადებაში მითითებული იყო მხოლოდ დროის პერიოდი - 18 წელი, რომლის განმავლობაში ჩადენილი ქმედებებიც უნდა ჩათვლილიყო კანონიერად.
2. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა იმავე დღეს განიხილა განაცხადი, არ გასჩენია კითხვები (მაგალითად, იმის შესახებ თუ რა სახის და მასშტაბის კანონდარღვევის კანონიერად ცნობას ითხოვდნენ საწარმოები), მოიწონა განაცხადი და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გაუგზავნა პრემიერ-მინისტრს.
3. არც პრემიერ-მინისტრს დასჭირვებია ბევრი დრო გადაწყვეტილების მისაღებად. მანაც იმავე დღეს, 2012 წლის 14 მაისს გამოსცა ბრძანება #624 „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში შეთანხმების დადების შესახებ“. პრემიერ-მინისტრის ბრძანებით ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა სს „მადნეულთან“ და შპს “კვარიტთან“ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57[10] მუხლით გათვალისწინებული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეთანხმების დადება.
4. იმავე დღეს ვეღარ მოესწრო, როგორც ჩანს და მხოლოდ შემდეგ დღეს, 2012 წლის 15 მაისს გაფორმდა შეთანხმება ერთის მხრივ, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მეორეს მხრივ სს „მადნეულს[8]“ და შპს „კვარციტს[9]“ შორის.

---

[7] 2013 წლის 24 მაისიდან ირაკლი ხმალაძე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებს.

[8] სს „მადნეული“: წიაღით სარგებლობის ლიცენზია (სერია 053, ნომერი 0011, ტიპი IIAC) მადნეული ოქრო-სპინძ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს კომპლექსურ დამუშავებაზე, მოქმედების ვადით 1994 წლის 12 აპრილიდან 2014 წლის 12 აპრილამდე; სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზია 06.12.2011წ. #1000281 ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალების და ბარიტის შესწავლა-მოპოვებაზე, მოქმედების ვადით 2011 წლის 6 დეკემბრიდან 2014 წლის 12 აპრილამდე; 06.02.2009წ #00174 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

[9] შპს „კვარციტი“: წიაღით სარგებლობის ლიცენზია (სერია 53, ნოემრი 0010, ტიპი VI ABC) ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე, მოქმედების ვადით 1994 წლის 7 აპრილიდან 2014 წლის 7 აპრილამდე; 06.02.2009წ. #00172 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

2012 წლის 15 მაისს დადებული შეთანხმების საფუძველზე სს „მადნეულისა“ და შპს“კვარციტის“ მიერ 1994 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 14 მაისამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილ/განხორციელებულ ყველა ქმედება ჩაითვალა კანონიერად და შესაბამისად, სახელმწიფო და/ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ საწარმოებს არ შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ხელშეკრულება სულ ორი სახის ვალდებულებას ითვალისწინებს: (1.) 2014 წლის მარტამდე „მადენულისა“ და „კვარციტის“ მიერ ჯამურად 13 მილიონი ლარის გადახდას შეთანხმებული გრაფიკით და (2.) ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე შეთანხმებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ შეთანხმება ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კომპენსაციის გადახდის გრაფიკის დარღვევისთვის. თუკი, გრაფიკით შეთანხმებული თარიღებზე ვადის გადაცილების დღეთა ჯამური ოდენობა 10 დღეს შეადგენს, შეთანხმება შეუსრულებლად და გაუქმებულად ითვლება. ხოლო, შეთანხმებაზე დართული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის შეუსრულებლობისთვის შეთანხმება არავითარ სანქციას არ ითვალისწინებს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ შეთანხმებაზე ამ ე.წ. გეგმის დართვაც მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. იგივეს მოწმობს თავად გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩამონათვალი (იხ. ქვემოთ ჩანართი 1 და ჩანართი 2.). გარდა იმისა, რომ გეგმა-გრაფიკში ჩამოთვლილი ყველა ქმედების შესრულება ისედაც ევალებოდათ საწარმოებს, ღონისძიებების აღწერა ზოგადი, ურთიერთმოცვეული და ზოგ შემთხვევაში არაფრის მთქმელია. მაგალითად ნარჩენების მართვის თემას ჩამონათვალში ეხება 10 პუნქტი. ათიდან ერთი ზოგადად „ნარჩენების მართვაა“, რომელის შესრულების ვადა 12.04.2014-ია. გაუგებარია, რაში უნდა გამოიხატოს ამ პუნქტის შესრულება, თუმცა გეგმა-გრაფიკის მიხედვით ამავე დროისთვის შესრულდება - „ნარჩენების სეპარაცია“ და „თხევადი ნარჩენების მართვა“.

ჩანართი 1. სს“ მადნეული“ მიერ ლიცენზიის მოქმედების ვადის მოაწურვამდე გასატარებელი ღონიძიებების გეგმა-გრაფიკი

#	**ღონისძიებების დასახელება**	**შესრულების ვადა**
1	სს „მადნეულზე“ დამაგრებული მიწის ფართობების კადასტრის შედგენა და მათი კონტურების სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებთან ერთობლივი დაზუსტება	31.10.2012
2	მადნეულის ოქრო-ბარიტ-სპილენძის საბადოს დამუშავების პროექტის მომზადება და მისი შეთანხმება	30.06.2012
3	კარიერის გენერალური დახრის კუთხისა და გადახსნის კოეფიციენტის დაცვაზე მონიტორინგის დაწესება	12.04.2014
4	კომპანია „მადნეულის“ გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება	31.07.2012
5	ნარჩენების მართვა	12.04.2014
6	ნარჩენების სეპარაცია	12.04.2014
7	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა	12.04.2012
8	მადნეულის კარიერში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების სიის შედგენა	15.08.2012
9	თხევადი ნარჩენების მართვა	12.04.2014
10	მადნეულის საბადოს დამუშავებისას წარმოქმნილი თხევადი ნარჩენების სიის შედგენა	15.08.2012
11	გარემოს დაცვის მართვის შიდა სისტემის შემუშავება	30.08.2012
12	ეკოლოგიური რისკების რეესტრის შედგენა	15.08.2012
13	მყარი ნარჩენების სეპარირებისა და მათი დროებითი შენახვის ორგანიზება	30.09.2012
14	მყარი ნარჩენების გადაზიდვასა/გადამუშავებაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება -გაფორმება	30.10.2012
15	თხევადი ნარჩენების სეპარირებისა და მათი დროებითი შენახვის ორგანიზება	20.03.2012
16	თხევადი ნარჩენების გადაზიდვასა/გადამუშავებაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება -გაფორმება	30.10.2012
17	რეკულტივაციის პროექტის შემუშავება	30.06.2012
18	სეზონური სარეკულტივაციო სამუშაოების ფართობების შერჩევა და სანერგე მასალის შეძენა	05.11.2012 05.04.2013 05.11.2013 05.04.2014

19	სეზონური სარეკულტივაციო სამუშაოების ორგანიზება	15.11.2012 15.04.2013 15.11.2013 15.04.2014
20	სტრუქტურული დანაყოფებისთვის გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება	30.09.2012
21	ეკოლოგიური თვითმონიტორინგის სისტემის პროგრამის შედგენა	15.07.2012
22	ეკოლოგიური თვითმონიტორინგის სისტემის ყოველკვირეული მონაცემების სისტემატიზაცია	12.04.2014
23	საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტირება	15.04.2013
24	საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი, სეპარირებული განთავსების მოედნების მოწყობა/მშენებლობა	30.10.2012
25	ავარიული დამჭერი კასკადის აღდგენა/მშენებლობა	15.05.2013
26	შებრუნებული წყლის გამოყენებით ავტომანქანების სამრეცხაო ბლოკის აშენება/მოწყობა	30.10.2012
27	საწვავ-საპოხი მასალების საცავის ავარიული დამჭერის მშენებლობა	15.09.2012
28	მადნის დასაწყობების მოედნის მოწყობა	30.11.2012
29	ბიოტუალეტების შეძენა	15.08.2012

ჩანართი 2. შპს „კვარციტის“ მიერ ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე გასატარებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი

#	**ღონისძიებების დასახელება**	**შესრულების ვადა**
1	შპს „კვარციტზე“ დამაგრებული მიწების კადასტრის შედგენა და სახელმწიფოს უფლებამოსილ წარმომადგენლებთან ერთად მათი კონტურების დაზუსტება	31.10.2012
2	საყდრისის საბადოს დამუშავების პროექტის მომზადება და მისი შეთანხმება	31.07.2012
3	გადახსნის კოეფიციენტისა და გენერალური დახრის კუთხეზე მონიტორინგის დაწესება	07.04.2014
4	შპს „კვარციტის“ გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება	01.07.2012
5	ნარჩენების მართვა	07.04.2014
6	ნარჩენების სეპარაცია	07.04.2014
7	მყარი ნარჩენების მართვა	07.04.2012
8	საყდრისის საბადოში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების სიის შედგენა	15.08.2012
9	თხევადი ნარჩენების მართვა	07.04.2014
10	საყდრისის საბადოს დამუშავებისას წარმოქმნილი თხევადი ნარჩენების სიის შედგენა	15.08.2012
11	გარემოს დაცვის მართვის შიდა სისტემის შემუშავება	30.09.2012
12	ეკოლოგიური რისკების რეესტრის შედგენა	15.09.2012
13	მყარი ნარჩენების სეპარირებისა და მათი დროებითი შენახვის ორგანიზება	30.10.2012
14	მყარი ნარჩენების გადაზიდვასა/გადამუშავებაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება -გაფორმება	15.11.2012
15	თხევადი ნარჩენების სეპარირებისა და მათი დროებითი შენახვის ორგანიზება	15.08.2012
16	თხევადი ნარჩენების გადაზიდვასა/გადამუშავებაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება -გაფორმება	15.11.2012
17	რეკულტივაციის პროექტის შემუშავება	30.08.2012
18	სეზონური სარეკულტივაციო სამუშაოების ფართობების შერჩევა და სანერგე მასალის შეძენა	05.11.2012 05.04.2013 05.11.2013 05.04.2014
19	სეზონური სარეკულტივაციო სამუშაოების ორგანიზება	15.11.2012 15.04.2013 15.11.2013 15.04.2014
20	შპს „კვარციტის“ სტრუქტურული დანაყოფებისთვის გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება	30.09.2012
21	ეკოლოგიური თვითმონიტორინგის სისტემის პროგრამის შედგენა	15.07.2012
22	ეკოლოგიური თვითმონიტორინგის სისტემის ყოველკვირეული მონაცემების სისტემატიზაცია	07.04.2014
23	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა/რეაბილიტირება	15.09.2012

24	საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი, სეპარირებული განთავსების სპეციალური მოედნების მოწყობა/მშენებლობა	30.09.2012
25	შებრუნებული წყლის გამოყენებით ავტომანქანების სამრეცხაო ბლოკის აშენება/მოწყობა	15.05.2013
26	საწვავ-საპოხი მასალების საცავის ავარიული დამჭერის მშენებლობა	30.03.2013
27	მადნის დასაწყობების მოედნის მოწყობა	30.08.2012
28	კარიერისათვის ბიოტუალეტების შეძენა	15.08.2012

ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. კომპანია სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის 2005 წლის 11 ნოემბერს გაფორმებული საწარმოების საპრივატიზებო ხელშეკრულების თანახმად, კომპანია გათავისუფლდა ნაყიდი საწარმოების მიერ გარემოსათვის წარსულში (გაყიდვამდე) მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან. კერძოდ, ხელშეკრულებაში აღნიშნულია: *„“გამყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას, რომ „მყიდველი“ არ აგებს პასუხს და არ იქნება ვალდებული გაწმინდოს ან სხვაგავარად გამოასწოროს, ან გადაიახადოს რაიმე საზღაური გაწმენდისა თუ სხვაგვარი გამოსწორებისათვის „დასრულების თარიღამდე“ „ჯგუფის კომპანიების“ ტერიტორიაზე გამოფრქვეულ ნებისმიერ მავნე ნივთიერებაზე, ან „ჯგუფის კომპანიების“ მიწასა თუ მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოს ნებისმიერ სხვა დაბინძურებაზე“.* ამ გარემოების გათვალისწინებით, გაუგებარია რატომ გადაწყვიტა კომპანიამ 1994 წლიდან 2005 წლამდე პერიოდში ჩადენილი კანონდარღვევების საკომპენსაციოდ თანხის გადახდა.

გარდა ამისა, შეთანხმების გაფორმებიდან (2012 წლის 15 მაისი) ზუსტად ერთ თვეში (2012 წლის 14 ივნისს) საწარმოების მაშინდელმა მფლობელმა კომპანია GeoProMining-მა გააკეთა განცხადება საქართველოში აქტივების გაყიდვის თაობაზე[10]. ამასთან განცხადების თანახმად, კომპანია აქტივების გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებებს რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოებდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ შეთანხმების გაფორმება GeoProMining-ის მხრიდან საწარმოების საქმიანობის ისტორიის „გაკეთილშობილების“, საწარმოების გარემოსათვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და შედეგად, სარფიანად გაყიდვისათვის მოხდა. რაც არ უნდა უცნაური იყოს, საწარმოების ახალი მფლობელი დღეს აცხადებს[11], რომ საწარმოების ყიდვისას არაფერი იცოდა შეთანხმების და შესაბამისად, შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვალდებულების შესახებ. ძნელი დასაჯერებელია, რომ 120 მილიონიანი გარიგების მონაწილე კომპანიამ ვალდებულებების ბოლომდე შესწავლის გარეშე მოაწერა ხელი, ან გარიგების შესახებ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რაიმე სანქციებს ახლდაღმოჩენილი ვალდებულებების თაობაზე; თუმცა, ახალი მფლობელის განცხადებები ამ შემთხვევაში არაფერს ცვლის, შეთანხმება ხელმოწერილია და სს“მადნეულისა“ და შპს “კვარციტის“ მიერ თანხის სრულად დაფარვისთანავე 2012 წლის 14 მაისამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი/განხორციელებული ყველა ქმედება ჩაითვლება კანონიერად - რაც შეუძლებელია არ იყოს მომგებიანი საწარმოების ახალი მფლობელისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეთანხმების პირობად ზემოთმოყვანილი ღონისძიებების გატარების ვალდებულების განსაზღვრა სრულიად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეთანხმება სანქციას არ ითვალისწინებს. მეტიც, როგორც მწვანე ალტერნატივამ გაარკვია[12], საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საერთოდ არ გააჩნდა ინფორმაცია შეთანხმებით გათვალისწინებული გეგმის შესრულების თაობაზე და არც რაიმე ზომები ჰქონდა მიღებული ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად. სიტუაცია არ შეცვლილა 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით (2013 წლის ივლისის მდგომარეობით), სამინისტროს არ გააჩნია ინფორმაცია შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

ამდენად, სს „მადნეულთან“ და შპს “კვარციტთან“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში 2012 წლის 15 მაისს დადებული შეთანხმების საფუძველზე კიდევ უფრო განმტკიცდა ის მდგომარეობა, რომელიც სახელმწიფომ შექმნა 2005 წელს საწარმოების პრივატიზებისას ახალი მფლობელის გარემოსთვის წარსულში მიყენებულ ზიანზე პასუხიმგებლობისაგან გათავისუფლებით - სიტუაცია, სადაც <u>არავინ (არც სახელმწიფო და არც საწარმოების მესაკუთრეები) იღებს პასუხისმგებლობას საწარმოების მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსწორებასა და კომპენსირებაზე</u>.

[10] http://www.geopromining.com, Объявление о продаже активов Группы ГеоПроМайнинг в Грузии, 14 Июня 2012, Москва

[11] http://liberali.ge, „ანგარიშში დაკარგული გარემო“, 08.02.2013

[12] ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი ხმალაძის 2012 წლის 6 დეკემბრის პასუხი მწვანე ალტერნატივას, რომლითაც ორგანიზაცია ითხოვდა ინფორმაციას სს „მადნეულთან“ და შპს “კვარციტთან“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში 2012 წლის 15 მაისს დადებული შეთანხმების საფუძველზე შეთანხმებული მოქმედებათა გეგმის შესრულების თაობაზე (გეგმით გათვალისწინებული ქმედებების უმეტესი ნაწილი უკვე შესრულებული უნდა ყოფილიყო).

უნდა აღნიშნოს, რომ ქვეყანაში 2012 წლის ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტი არჩევნების შედეგად განახლებული მთავრობის ერთ-ერთი პირველი ინიციატივა გარემოს დაცვის სფეროში „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული იმ ცვლილების გაუქმება იყო, რომლითაც დაშვებული იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში შეთანხმების დადება. მწვანე ალტერნატივა იმედოვნებდა, რომ კანონის გაუქმება შესაბამისი შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე მოხდებოდა, რათა ერთის მხრივ, საბოლოოდ დამკვიდრდებულიყო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროებისა და კანონიერების დასაბუთების პრაქტიკა; ხოლო, მეორეს მხრივ, აგვერიდებინა მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებების ინცირების შესაძლებლობა მომავალში. თუმცა, 2013 წლის 25 მარტს საქართველოს პარლამენტმა რაიმე განსაკუთრებული მსჯელობის გარეშე გააუქმა კანონი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 10 აპრილის №2/1/524 გადაწყვეტილებით[13], საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან[14] მიმართებით არაკონსტიტუციურად სცნო პარლამენტის მიერ უკვე გაუქმებული ნორმა. პარლამენტისა და გარემოს დაცვის სამინისტროსგან განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლომ ვრცლად იმსჯელა გასაუქმებელი ნორმის წინააღმდეგობრიობაზე. ქვემოთ შემოგთავაზებთ მხოლოდ რამოდენიმე ამონარიდს საკონსტუტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან:

„… გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში სამართალდარღვევის ჩადენაზე რეაგირების მიზნით, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულია კუმულაციურად მოქმედი ორი მექანიზმი, კერძოდ, ერთი მხრივ, სამართალდამრღვევს ეფარდება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა და, მეორე მხრივ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს გარემოსათვის მიყენებული ზიანი ფულადი თანხის გადახდის ან/და გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსწორების მიზნით, გარკვეული ქმედების განხორციელების მეშვეობით. შეთანხმების გაფორმებით კი დაინტერესებული პირი, სახელმწიფო კომპენსაციის გადახდის მეშვეობით, თავისუფლდება ხსენებული ზემოქმედების ორივე ფორმის გამოყენებისაგან.

… გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შეთანხმება იდება არა დაინტერესებული პირის კონკრეტულ ქმედებასთან დაკავშირებით, არამედ მისი საქმიანობის პერიოდთან, შესაძლო სამართალდარღვევათა განუსაზღვრელ მოცულობასთან მიმართებით. კანონი არ ადგენს სახელმწიფო ორგანოების რაიმე სახის ვალდებულებას, შეთანხმების დადებამდე მოახდინონ დაინტერესებული პირის მიერ შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში ჩადენილი სამართალდარღვევების შემოწმება და გარემოსათვის მიყენებული ზიანის მოცულობისა და სამართალდარღვევის ხასიათის გამოკვლევის შედეგად მიიღონ გადაწყვეტილება. ამასთანავე, ,,გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 57***10*** მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია პირის მიერ შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი/განხორციელებული ქმედების შემოწმება“. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონი იძლევა შეთანხმების იმგვარად დადების შესაძლებლობას, რომ ცნობილი არ იყოს, კონკრეტულად რა მოცულობის სავარაუდო სამართალდარღვევა ეთვლება კანონიერად დაინტერესებულ პირს. გარდა ამისა, მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი სამართალდარღვევების გამოკვლევა არც შეთანხმების დადების შემდეგ ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონი უშვებს, სახელმწიფო კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, განუსაზღვრელი მოცულობით ჩადენილ სამართალდარღვევებზე პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობას.

… კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, გარემოს დაცვის მიზნით, დააწესოს გარკვეული აკრძალვები და ამ აკრძალვების შესრულების უზრუნველმყოფი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმები. მართალია, ამა თუ იმ სამართალდარღვევისათვის შესაბამისი სანქციის შერჩევისას, სახელმწიფოს ფართო შეხედულება აქვს, მაგრამ სანქცია ისე არ უნდა იყოს გამოყენებული, რომ დაკარგოს თავისი მიზანი და დანიშნულება. კანონით გარკვეული ქმედების აკრძალვისა და ამ ქმედებისათვის სანქციის მოცულობის განსაზღვრის უმთავრესი მიზანი სამართალდარღვევის პრევენციაა. პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე მომავალი დროის გარკვეულ პერიოდში შეთანხმების

---

[13] კოლეგიის შემადგენლობა: ზაზა თავაძე – სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე; ოთარ სიჭინავა – წევრი; ლალი ფაფიაშვილი – წევრი; თამაზ ცაბუტაშვილი - წევრი. საქმის დასახელება: საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. დავის საგანი: `გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 57[10] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან მიმართებით და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით.

[14] “მუხლი 3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. მუხლი 4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად“.

დადებას, მის მიმართ გარემოს დაცვისა და ბუნებრვი რესურსების სფეროში დადგენილი აკრძალვების ფაქტობრივი გაუქმების ეფექტი აქვს. დაინტერესებული პირი კარგავს განცდას, რომ შესაძლებელია მას გარემოსთვის ზიანის მიყენების სანაცვლოდ, პასუხისმგებლობა დაეკისროს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში მას დაუბრკოლებლად მოქმედების თავისუფლება ეძლევა. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გარკვეული სამართალდარღვევების შინაარსს, დაინტერესებული პირის მიმართ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის უმთავრეს ფუნქციას კარგავენ. სწორედ სამართალდარღვევის ჩადენის წახალისებას ასახელებდა მოსარჩელე სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის უმთავრეს პრობლემად. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები უდავოდ მიმართულია პირისათვის ქმედების ამგვარი თავისუფლების მინიჭების აღკვეთისაკენ. სასამართლო იზიარებს მოსარჩელის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ შეთანხმების დადების შედეგად, დაინტერესებული პირების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვები კარგავენ "შემაკავებელ ეფექტს". პირისთვის გარემოზე ზემოქმედების ფართო თავისუფლების მინიჭება კონფლიქტში მოდის სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან, უზრუნველყოს გარემოს დაცვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს შესანარჩუნებლად.

...კანონით განსაზღვრული შეთანხმების ინსტიტუტის არსებობის გარკვეული ლეგიტიმური მიზნები რომც არსებობდეს, სადავო ნორმების არსებული რედაქციის პირობებში შეუძლებელი იქნება იმის მტკიცება, რომ დაცულია გონივრული ბალანსი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების შეზღუდვასა და სადავო ნორმის მოქმედების პოზიტიურ ეფექტებს შორის. მოცემულ შემთხვევაში, შეთანხმება ფორმდება ისე, რომ ცნობილი არ არის დაინტერესებულმა პირმა რა მოცულობის ზიანი მიაყენა გარემოს და, მითუმეტეს, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რა ზიანი დადგება მომავალში. შესაბამისად, შეუძლებელია საუბარი გონივრული ბალანსის არსებობაზე იმ პირობებში, როდესაც ჯანსაღი გარემოსათვის მიყენებული ზიანი შესაძლებელია განუზომლად დიდი იყოს. ყველაზე კეთილსინდისიერი სამართალშემფარდებელიც კი ვერ მოახერხებს, გონივრულად შეაფასოს გარემოსათვის მიყენებული ზიანის სათანადო კომპენსაცია იმ პირობებში, როდესაც არ იცის, რა მოცულობისაა იგი. მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია, სახელმწიფომ ამტკიცოს, რომ გარემოზე ზემოქმედების დაშვების საპირწონედ იგი იცავს თანაზომად სიკეთეებს. შესაბამისად, დარღვეულია გონივრული ბალანსი სადავო ნორმით დადგენილი უფლების შეზღუდვასა და მისი მიღებით მიღწეულ პოზიტიურ შედეგებს შორის. სადავო ნორმების მიღებით სახელმწიფო არღვევს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფის კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს**".**

საინტერესოა, რომ სასამართლო დავაში მოპასუხის სტატუსით მონაწილე საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა სრულად გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და ცნო კონსტიტუციური სარჩელი. მოპასუხე მიიჩნევდა, **„**რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეთანხმების დადება გულისხმობს პირისთვის ერთგვარი `ინდულგენციის" მინიჭებას და ნებისმიერ ადამიანს საშუალება ეძლევა, განახორციელოს არაკანონიერი ქმედებები, თვითნებურად ისარგებლოს ბუნებრივი რესურსებით და ზიანი მიაყენოს გარემოს, რაც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებულ ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების ძირითად უფლებასთან**".**

საქმეზე მოწმედ მოწვეულმა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლო დავების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მამუკა ივანიაშვილმა მიუთითა, **„**რომ შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სამინისტროს ეკრძალება შეამოწმოს ის პირი, რომელთანაც გაფორმებულია შეთანხმება. შესაბამისად, იგი ვერ მოიპოვებს ინფორმაციას გარემოს დაცვის სფეროში არსებულ კონკრეტულ დარღვევებთან დაკავშირებით**".**

ხოლო, საქმეზე ასევე მოწმედ მოწვეულმა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს წიაღის მართვის დეპარტამენტის უფროსმა ნელი კორკოტაძემ და ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ კონსტანტინე ხაჭაპურიძემ აღნიშნეს, **„**რომ `ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, ლიცენზიისა და ნებართვის მქონე პირებს, რომლებიც გარემოს დაცვის სფეროში საქმიანობას ახორციელებენ, ანგარიშგების ვალდებულება აქვთ, კერძოდ, წიაღით მოსარგებლეები წელიწადში ერთხელ სააგენტოს წარუდგენენ ინფორმაციას თავიანთი საქმიანობის შესახებ, ხოლო ნებართვის მფლობელები ასევე წელიწადში ერთხელ ვალდებულნი არიან ჰაერთან და წყალთან მიმართებით წარადგინონ ინფორმაცია. მოწმეებმა აღნიშნეს, რომ სადავო ნორმების მოქმედების პირობებში მათ არა აქვთ შესაძლებლობა, გადაამოწმონ წარმოდგენილი ინფორმაცია. ამასთანავე, შემოწმების განხორციელების პერიოდშიც თითქმის შეუძლებელია იმის იდენტიფიცირება, კონკრეტული დარღვევა ჩადენილ იქნა შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში თუ მის შემდეგ, რის გამოც რთულდება ობიექტური ინფორმაციის მიღება**.** მოწმეთა განმარტებით, სადავო ნორმები მაკონტროლებელი ორგანოს საშუალებას არ აძლევს, მოიპოვოს სანდო, დასაბუთებული

და სრულყოფილი მტკიცებულებები, რაც ხელს უშლის გარემოს შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაციის შეგროვებას და მოსახლეობისთვის მიწოდებას. ამასთანავე, მოწმეებს მიაჩნიათ, რომ სადავო ნორმა პრობლემატურია იმდენად, რამდენადაც შეთანხმების დადებისას პირს არა აქვს ვალდებულება, გაამჟღავნოს, თუ რა ტიპისა და მოცულობის ზიანი მიაყენა გარემოს, <u>შესაბამისად, აღნიშნული შეიძლება გახდეს კორუფციული გარიგების საფუძველი, პროცესი წარიმართოს გაუმჭვირვალედ, რაც ზიანის მომტანი იქნება გარემოსთვის და დაარღვევს ადამიანის ძირითად უფლებებს</u>***“.***

ნებისმიერ შემთხვევაში ნორმის გაუქმება, რომლითაც დაშვებული იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში შეთანხმების დადება, მხოლოდ დადებით ნაბიჯად შეიძლება განვიხილოთ. შეშფოთების საფუძველს მხოლოდ ის გარემოება იძლევა, რომ სასამართლოს და კომპეტენტური საჯარო უწყებების ზემოთმოყვანილი განმარტებების ფონზე, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება დაკმაყოფილდა არაკონსტიტუციური ნორმის გაუმებით და არ გამოიძია კანონის ძალაში არსებობის პერიოდში დადებული ხელშეკრულებების[15] კანონიერება.

გამონაკლისი შემოწმებებიდან

მწვანე ალტერნატივა 2005 წელს „მადნეულისა“ და „კვარციტის“ პრივატიზების მომენტიდან ადევნებს თვალყურს საწარმოების მიერ კანონითა და საპრივატიზებო ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის განვლობაში საწარმოები რამოდენიმეჯერ დაჯარიმდა გარემოსათვის მიყენებული ზიანისათვის, თუმცა საწარმოების წიაღით სარგებლობის ლიცენზიების პრაქტიკა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის დადგენილი პირობების შესრულების შემოწმება არ ჩატარებულა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ, დროის ამ პერიოდში „მადნეულისა“ და „კვარციტის“ მიმართ ლოიალური დამოკიდებულება 2004-2008 წლებში საწარმოების მმართველის, ხოლო 2008 წლიდან საქართველოს მე–8 მოწვევის პარლამენტისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის კობა ნაყოფიას დამსახურება იყო. ამ ვარაუდის საფუძვლიანობის ერთგვარი დადასტურება იყო ის ფაქტი, რომ 2012 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლიდან ორ თვეში RMG Copper-სა (ყოფილი “მადნეული”) და RMG Gold-ის (ყოფილი “კვარციტი”) ფინანსური დოკუმენტანცით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური დაინტერესდა. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აცხადებდა, რომ კომპანიებთან მიმართებაში არსებობდა გარკვეული კითხვები, მათ შორის, გადასახადების შესახებ. ***“ამიტომაც შევიდა კომპანიებში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური. არის გარკვეული ინფორმაცია და მათი გადამოწმება ხდება***,”[16] - განაცხადა მინისტრმა. მისივე თქმით, კომპანიებში საგადასახადო შემოწმების შესვლის მიზეზებსა და ძიების შედეგებზე ინფორმაციას თავად საგამოძიებო სამსახური გაავრცელებდა. თუმცა, შედგომში, შემოწმების ფაქტის და მითუმეტეს, შემოწმების შედეგების შესახებ ფინანსთა სამინისტროს და/ან რომელიმე სხვა უწყებას ინფორმაცია არ გაუვრცელებია.

2013 წლის განმავლობაში საწარმოების მმართველობამ მოახერხა ახალი ხელისუფლების კეთილგანწყობის მოპოვება. RMG Copper-სა და RMG Gold-ის შეუფერხებელი მუშაობისათვის ბარიერების მოხსნის საკითხის მოგვარებით, თავად, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დაკავდა და პრობლემაც განსაკუთრებული გართულებების გარეშე მოაგვარა. პრომლემა ამ შემთხვევაში RMG Gold -ის სალიცენზიო ტერიტორიაზე, საყდრისი-ყაჩარიანის უძველესი ოქროს მაღაროს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის არსებობა იყო. პრობლემის მოგვარების ისტორიას შემდეგ თავში წარმოგიდგენთ, აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ პრობლემა მარტივად გადაწყდა - ძეგლს ჯერ უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა, შემდეგ ეროვნული მნიშვნელობის სტატუსი, ხოლო საბოლოოდ, გაუქმდა ძეგლის არქეოლოგიური დაცვის ზონა და RMG-ისათვის ძეგლის დაცვის ზონაში წიაღით სარგებლობის შეზღუდვის პრობლემაც მოიხსნა.

---

[15] კანონის ძალაში არსებობის პერიოდში სულ სამი ხელშეკრილებაგ აფორმდა. დანარჩენ ორ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები იყვნენ: 1. შპს“საქნახშირი“ (ჯი-აი-ჯი ჯგუფი), კომაპნიამ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების # 100752, #01018 და #00885 ლიცენზიებთან დაკავშირებით 2010 წლის 6 იანვრიდან 2011 წლის 12 ოქტომბრამდე გარემოსათვის მიყენებული ზიანის კანონიერად ცნობაში 40 ათასი ლარი გადაიხადა; და 2. სს „ფოლათ იოლ იაფი სანაიი ვე თიჯარეთის“ (თურქული კომპანია) ფილიალთან საქართველოში, კომპანიამ 2011 წლის 8 ივლისიდან 2012 წლის 20 ივლისამდე პერიოდში ჩადენილი დანაშაულის კანონიერად ცნობის სანაცვლოდ გადაიხადა 20 ათასი ლარი.

[16] “ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები ყოფილ სს “მადნეულსა” და შპს “კვარციტს” ამოწმებენ”, 24 საათი 28.12.12

საყდრისი - მოგვარებული პრობლემა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის სამეცნიერო ჯგუფი გერმანელ კოლეგებთან ერთად 2004 წლიდან აწარმოებს[17] მსოფლიოში უძველესი ოქროს წარმოების კერის, მაღაროებისა და სამთოელთა დასახლების კვლევას საყდრისსა და ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარზე, რომელიც ბოლნისის რაიონში მდებარეობს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკველეული უძველესი ოქროს მაღაროები და მოპოვებული 10000-მდე ქვის ურო და სამუშაო იარაღი ადასტურებს, რომ საყდრისში ოქროს მოპოვება ხელით, სამთო წესით ხდებოდა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვებ-გვერდზე განთავსებულის ინფორმაციის თანახმად, **„**თავისი ისტორიული და სამეცნიერო მნიშვნელობით საყდრისის ოქროს წარმოების კერა უძველესია მსოფლიოში. მისი მნიშვნელობა საქართველოს ფარგლებს სცილდება და კავკასიის, მსოფლიოს უძველეს ცივილიზაციებთან კულტურულ-ეკონომიკურ კონტაქტებს ასახავს**“**[18].

საყდრისში აღმოჩენილ ოქროს მაღაროებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტს გამოცემული ბრძანებით[19] კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

2006 წლის 17 ივლისს გამოიცა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანება[20], რომლითაც დადგინდა დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის ტერიტორია.

საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის N665 ბრძანებულებით კი, საყდრისის უძველესი ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლს (ძვ.წ.აღ. 3018-2929 წწ.) ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საყდრისის უძველესი ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლის სტატუსის მინიჭებამდე, ეს ტერიტორია 1994 წლის 7 აპრილიდან Ltd Trans Georgian Resources-ზე 20 წლის ვადით გაცემული წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზით განსაზღვრული ფართობის ნაწილი იყო. 2005 წელს Ltd Trans Georgian Resources, მადნეულთან ერთად გაიყიდა; ხოლო, 2009 წელს კვარციტს შეერწყა. შესაბამისად, ლიცენზია დღეს RMG Gold-ის (ყოფილი „კვარციტის“) საკუთრებაა.

საინტერესოა, რომ ძეგლის აღმოჩენას სწორედ წიაღით სარგებლობისათვის ჩატარებულმა სამუშაოებმა შეუწყო ხელი. როგორც მადნეულისა და კვარციტის საინფორმაციო გეოლოგიურ ანგარიშებშია აღნიშნული, 2004 წელს Ltd Trans Georgian Resources-ის სამთო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების დროს გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის რამოდენიმე სამთო-გეოლოგიური ძეგლი, რის შესახებაც კომპანიამ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, აცნობა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს და ფინანსურად უზრუნველყო აქრეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა.

წლების განმავლობაში საყდრისის უძველესი სამთამადნო მაღაროს აღმოჩენა მადნეულისა და კვარციტის სიამაყის საგანი იყო. კომპანიები გარემოს დაცვის სამინისტროსათვის წარდგენილ ანგარიშებში წლების განმავლობაში მიუთითებდნენ ძეგლის ღირებულებასა და აღმოჩენის ფასეულობაზე ქვეყნისათვის. კომპანია “RMG GOLD”-ის ვებ-გვერდზე[21] კი, 2013 წლის აგვისტომდე განთავსებული იყო შემდეგი ინფორმაცია: *„2004-2007 წწ მცირე კავკასიონზე, საქართველოს სამხრეთ პროვინცია ქვემო ქართლში, ადგილ საყდრისის*

---

[17] პროექტი ,,ოქრო საქართველოში” საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ბოხუმის სამთო მუზეუმის, ბოხუმის რურის უნივერსიტეტისა და გერმანიის სამთო ტექნოლოგიების კორპორაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მიმდინარეობს. პროექტი დაფინანსებულია ფოლკსვაგენის ფონდის, გერმანიის სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის მიერ.

[18] http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=100&info_id=12288

[19] „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27.04.2006 წ., №9; ნაწ. IV; გვ.49)

[20] „გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17 ივლისის №3/225–№1-1/616 ერთობლივი ბრძანება

[21] http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/08/annex6.pdf

სენსეაციურმა აღმოჩენამ საქართველო იმ უძველესი ოქროს მწარმოებელი წვეყნის გვერდით დააყენა, როგორც ეგვიპტეა, სადაც მადნეული ოქროს მოპოვება სამთო წესით ხდებოდა. თუკი აქამდე ცნობილი იყო, რომ ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდი ოქროს მოპოვება რეცხვით იწარმოებოდა, ახლა უკვე ცხადი გახდა, რომ ძვ. წ. III ათასწ. დასაწყისში ოქროს მოპოვების ტექმონოლოგიაში უფრო შრომატევადი პროცესი ფიქსირდება, ვიდრე მდინარეში მისი რეცხვაა. დღევანდელი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე საქართველოში ოქროს მოპოვება პირდაპირ სამთო წესით დაიწყო. ამდენად ცოდნა იმისა, თუ როგორ და რა მეთოდებით შეიძლებოდა ძვ.წ. IV- III ათასწ. მიჯნაზე, ოქროს შემცველი ძარღვის პოვნა და მისი მოპოვება, ამყარებს მოსაზრებას, რომ უძველესი სამთოელები უკვე IV ათასწლეულში სრულად ფლობდნენ ოქროს წარმოების რთულ ტექნოლოგიებს...“. თუმცა, როგორც ჩანს, კომპანიის ძეგლის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა 2013 წელს.

წერილი პრემიერ-მინისტრს

საყდრისის ტერიტორიაზე მოქმედი 20 წლიანი ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე, 2013 წლის 26 აპრილს RMG Gold-ის („კვარციტი“) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ქუთელიამ კომპანიის წიაღით სარგებლობის პრობლემების მოგვარების თხოვნით საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა.

საინტერესოა, რომ ზურაბ ქუთელია წლების განმავლობაში იკავებდა გარემოს დაცვის სამინისტროში წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას. 1994 წლის 7 აპრილის Ltd Trans Georgian Resources-ზე 20 წლის ვადით გაცემული წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია, სწორედ, ბატონი ქუთელიას ხელმოწერით არის გაცემული. ასევე, ბატონი ქუთელია (2004 წლამდე) თამჯდომარეობდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების უწყებათშორისო ექსპერტთა საბჭოს, რომელიც ლიცენზიის პირობებს შესრულებას აკონტროლებდა. ამავე საბჭოს მუდმივი წევრი იყო სოლომონ ცაბაძე (დღეისათვის კომაპანია RMG-ის მრჩეველი გარემოსადცვით საკითხებში) რომელიც, 2003 წლამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გარემოსდაცვითი ნებართვებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი იყო.

კერძოდ, ბატონი ქუთელია წერილში აღნიშნავს: *„2004 წელს საბადოს კონტურის ფარგლებში, გეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარებისას, ნაპოვნი იქნა ძველი სამთო გამონამუშევრები (გვირაბები), რომელთაც 2006 წელს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის კატეგორია. ამასთან, სრულიად იგნორირებულ იქნა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ობიექტი მდებარეობდა უკვე ლიცენზირებულ საბადოზე. ზემოაღნიშნული გარემოება შეუძლებელს ხდის საყდრისის საბადოს უდიდესი ნაწილის დამუშავებას, რაც მინიმუმამდე ამცირებს საბადოს ეკონომიკური მნიშვნელობას და სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორის ინტერესს... მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო წრეებში და არქეოლოგთა შორის ძეგლის ასაკთან, მნიშვნელობასთან და სტატუსთან დაკავშირებით არ არის ცალსახა დამოკიდებულება, ჩვენ მაინც მხოლოდ საკითხის ეკონომიკურ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. სამთამადნო საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი, მხოლოდ პირველი 7-8 წლის განმავლობაში 100 მლნ. დოლარს გადააჭარბებს, დასაქმდება 700-მდე ადამიანი (უმეტესწილად ადგილობრივი მოსახლება), ხოლო საშუალო ხელფასი 1000 ლარს* გაუტოლდება“. იქვე, ბატონი ქუთელია პრემიერ-მინისტრს რთული სიტუაციიდან გამოსავალსაც სთავაზობს. კერძოდ, კომპანია გამოთქვამდა საკუთარი სახსრებით, ძეგლის (ანუ მაღაროს) გადატანის მზადყოფნას, თანაც **„**იმგვარად, რომ არ დაკნინდეს მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება“.

აღსანიშნავია, რომ არც ეროვნული და არც საერთაშორისო კანონმდებლობა არ უშვებს ეკონომიკური სარგებლის მიზნით ობიექტის არქეოლოგიური ღირებულების უგულებელყოფას; პირიქით, როგორც ეროვნული და ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ავალდებულებს დაიცვან და მოუფრთხილდნენ კულტურულ მემკვიდრეობას (წიაღის შესახებ საქართველოს კანონი, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონი, არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენცია[22], საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია[23] და ა.შ.). ამდენად, 7 წლის წინ ძეგლისათვის სტატუსის მინიჭებისას კომპანიის ეკონომიკური ინტერესების უგულებელყოფაზე მსჯელობა ყოველგვარ საფუძველსის იყო მოკლებული.

[22] საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 23 თებერვლის N 158 დადგენილებით;

[23] დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 6 ოქტომბრის N 813 ბრძანებულებით

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საყდრისის საბადოზე RMG Gold-ის წიაღით სარგებლობის მოქმედი ლიცენზიის ვადა იწურება 2014 წლის 14 აპრილს. 2012 წლის 29 თებერვალს სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ ჩატარებულ აუქციონზე კი, ამ ტერიტორიაზე 2014 ლის 15 აპრილიდან 27 წლის ვადით წიაღით სარგებლობის უფლება სხვა კომპანიამ - შპს მაინინგ ინვესთმენთსმა მოიპოვა. აღსანიშნავია, შპს მაინინგ ინვესთმენთსის გენერალური დირექტორი RMG ჯგუფის მრჩეველი გარემოსადცვით საკითხებში, სოლომონ ცაბაძეა. ამდენად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აუქციონში მონაწილეობამდე 2 კვირით ადრე დაფუძნებული შპს მაინინგ ინვესთმენთსი რაიმე სახით დაკავშირებული იყოს RMG ჯგუფის ინტერესებთან და საერთო გეგმებიც გააჩნდეთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მაინინგ ინვესთმენთსის ლიცენზია არ მოიცავს საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის იმ ტერიტორიას, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჰქონდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაუგებარია, რის საფუძველზე ადგენდა RMG Gold-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე საყდრისის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობის 7-8 წლიან გეგმებს. კომპანიის შეთავაზება კი ძეგლის გადატანის თაობაზე, იმისათვის რომ კომპანიამ შეძლოს ძეგლის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობა სრულიად კანონსაწინააღმდეგოა, რადგან კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მულის თანახმად:

1. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით;
2. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება დასაშვებია მხოლოდ ძეგლის ადაპტაციის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ეს არ გამოიწვევს ძეგლის დაზიანებას ან მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულების შემცირებას;
3. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად არსებობს ძეგლის გამოუსწორებელი დაზიანების ან განადგურების საფრთხე; და არსებობს მისი გადაადგილების მომეტებული საჯარო ინტერესი, <u>გარდა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისა.</u>
4. უძრავი ძეგლის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ თავდაპირველ გარემოსთან შეძლებისდაგვარად მიმსგავსებულ გარემოში, ავთენტიკური მასალის გამოყენებით მისი რეკონსტრუქციის გზით, თავდაპირველი სახით აღდგენის პირობით;
5. აკრძალულია მოძრავი ძეგლის გადაკეთება ან დანაწევრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ძეგლის შენარჩუნებისათვის ან რეაბილიტაციისათვის.

საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის უძრავი ძეგლის მასშტაბიდან და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სატატუსიდან გამომდინარე ძეგლის გადატანაზე მსჯელობა დაუშვებელი იყო კანონით დადგენილ ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში.

პრემიერ-მინისტრის დავალება და პრეზიდენტის თანხმობა

ანგარიშის წინა თავში განხილული RMG Gold-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის 2013 წლის 26 აპრილის წერილი პრემიერ-მინისტრმა 2013 წლის 1 მაისს განხილვისა და შედგომი რეაგირების უზრუნვეყოფის თხოვნით, საკითხის უწყებრივი დაქვემდებარების გათვალისწინებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ მირიანე ოდიშარიას გაუგზავნა.

ჩვენთვის უცნობია, წერილის გადაგზავნასთან ერთად, მიიღო თუ არა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა დამატებითი ზეპირსიტყვიერი განმარტებები, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით, საკითხის განხილვა და შემდგომი რეაგირება, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა არა კომპანიის <u>თხოვნის კანონიერების შესწავლით</u>[24], არამედ ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და (სტატუსის მინიჭების კანონირებისაგან დამოუკიდებლად) ძეგლის გადატანის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებისათვის კომისიის შექმნით უზრუნველყო. კერძოდ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 2013 წლის 28 მაისის გამოსცა ბრძანება №03/82, რომლის 1 პუნქტის თანახმად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის

[24] მით უფრო, რომ სამინისტრო ინფორმირებული იყო RMG Gold-ის მიერ კანონის მოთხოვნის დაღვევისა და ძეგლის ხელყოფის ფაქტების შესახებ. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არეოლოგიური ცენტრის უფროსის, ზურაბ მახარაძის 2013 წლის 21 თებერვლის #01/01-200 წერილი საქართველოს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს, ქალბატონ მარინე მიზანდარს, რომელშიც ბატონი ზურაბ მახარაძე მინისტრის მოადგილეს RMG-ის მიერ ძეგლის დაზიანების ფაქტების შესახებ აცნობებს და ძეგლის ტერიტორიის კანონის შესაბამისად დაცვას სთხოვს. http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/08/annex9.pdf

მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით იქმნებოდა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა) ალექსანდრე თვალჭრელიძე, ბ) ომარ ქუცნაშვილი, გ) დავით ლომიტაშვილი, დ) ვახტანგ ლიჩელი, ე) გურამ მირცხულავა, ვ) ბესიკ მაცაბერიძე, ზ) თემურ ჩიხრაძე, თ) ლალი ახალაია, ი) პაატა გაფრინდაშვილი, კ) გურამ ყიფიანი, ლ) გურამ გრიგოლია. ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიას დასკვნა ერთი თვის ვადაში, 2013 წლის 30 ივნისამდე უნდა მოემზადებინა.

აღსანიშნავია, რომ კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ კომპანია RMG-ის კონტრაქტორი კომპანიების და მაშასადამე, პროცესში დაინტერესებული მხარის, სულ მცირე, ორი წარმომადგენელი: 1. ომარ ქუცნაშვილი, შპს ჯეოინჟინირინგის 36% წილის მფლობელი. შპს-ს ლიცენზიის მფლობელის დაკვეთით ჩატარებული აქვს სამთო-გეოლეოგიური კველევები საყდრისის ტერიტორიაზე; და 2. ვახტანგ ლიჩელი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისათვის RMG Gold-ის გენერალური დირექტორის მიერ 2013 წლის 27 მაისის გაგზავნილი წერილის (#341), თანახმად, კომპანიის დაკვეთით საყდრისის ტერიტორიაზე ასრულებდა არქეოლოგიურ კვლევას.

მინისტრის ბრძანებით დადგენილი კომისიის მიზანი კი, ეწინააღმდეგებოდა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლს, რომლის თანახმად, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის გადატანაზე მსჯელობა დაუშვებელია.

2013 წლის 5 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება № 03/108, რომლის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] და 62-ე მუხლებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართში უკანონოდ ასახული „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" დანართიდან ამოღების მიზნით:

1. ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი).
2. ამ ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად, სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს და სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს დაევალა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის წარსადგენი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში ცვლილებისათვის საჭირო, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება 3 დღის ვადაში.
3. სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დაევალა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს დაევალა სათანადო სამუზეუმო სივრცის შესაქმნელად და ამ სივრცეში საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მოპოვებული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების გადასატანად კომპანია „RMG"-სა და სამინისტროს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მომზადება.
5. საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა კი უნდა განხორციელებულიყო 2013 წლის 15 სექტემბრამდე.

როგორც ჩანს, ბრძანების შესაბამისად, პრეზიდენტის ადმინისტრაციას მალევე გაეგზავნა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების სიიდან ამოღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს (ამ პერიოდში პრეზიდენტის მიერ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის თითქმის ყველა ინიციატივის დამტკიცებაზე უარის თქმის ფონზე) პრეზიდენტმა უკვე 2013 წლის 10 ივლისს (კულტურის მინისტრის ბრძანების გამოცემიდან ხუთ დღეში), გამოსცა ბრძანებულება (№563) 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულების დანართით განსაზღვრულ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლების ჩამონათვალიდან ძეგლის ამოღების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღწერილი პროცესების შესახებ საზოგადოებისათვის მხოლოდ 2013 წლის 5 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი. საზოგადოებაში მინისტრის გადაწყვეტილებით გამოწვეული უკმაყოფილების ფონზე

სამინისტროს ვებ-გვერდზე ბრძანების გამოცემიდან 11 დღის შემდეგ, 2013 წლის 16 ივლისს გამოქვეყნდა განმარტება[25] მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლების შესახებ. განმარტებაში აღნიშნული იყო:

„კომპანია "RMG"-ის 2013 წლის 26 აპრილის №034/13 განცხადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ინიცირებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია", რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა.

კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყო 11 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, 35 დღიანი მუშაობის შედეგად დაადგინა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" (1999-2007) საქართველოს კანონის დარღვევით ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო მხოლოდ იმ მოტივით, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ", რომლის 77-ე მუხლის მიხედვით ძალადაკარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი საქართველოს სსრ 1977 წლის კანონი ,,ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ", რის შედეგადაც, „ნორმატიული აქტების შესახებ" 1996 წლის საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა ყველა ის კანონქვედებარე აქტი, რომელთა გამოცემაც მოხდა 1977 წლის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვითაც კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად.

იმის გამო, რომ ზემოაღნიშნულ ძველ სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ობიექტებს არ ჰქონდათ დაკარგული კულტურული ღირებულება, „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებით მათ მიენიჭათ (პრაქტიკულად აღუდგათ) კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ამავე ბრძანების დანართში მოყვანილი ნუსხის მიხედვით. მათ შორის აღმოჩნდა აგრეთვე ბოლნისის რაიონის ობიექტების ნუსხაში მითითებული ობიექტი – საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროც, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანების გამოცემის მომენტისათვის ხსენებული ობიექტი არცერთ ზემოაღნიშნულ (ძველ) სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შესაბამისად „საყდრისი-ყაჩარიანის უძველესი ოქროს მაღარო" სამართლებრივად არ უნდა მოხვედრილიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006წ. #3/133 ბრძანების დანართში, რადგანაც არ წარმოადგენდა მისი რეგულირების საგანს და ამდენად იგი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ იქნა შეტანილი ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტში.

აღნიშნული ქმედება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის („5. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს") და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა („2. დაუშვებელია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არაა გამოკლვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ").

ასევე დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა. სამინისტროში არ მოიძებნა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით უნდა ყოფილიყო არქეოლოგიური ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველი.

საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ უძველესი ოქროს მაღაროს არსებობის მეცნიერული დასაბუთება, არქეოლოგიური კუთხით, შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი. არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა, რაც კომისიას წარედგინა ანგარიშებისა და დასკვნების სახით, ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი და უნიკალური მაღაროს არსებობას.

[25] http://www.culture.gov.ge/topicdetals-1.7405.html

კომისიის სხდომებზე წარდგენილი იქნა გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, მეტალურგიული, და მასალათა გამძლეობის დასკვნები, რომელთა მსგავსი შინაარსიდან გამომდინარე მიჩნეულ იქნა, რომ გეოლოგიური კუთხით, პრეისტორიულ პერიოდში ოქროს მოპოვება საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე არ დასტურდება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თხოვნის საფუძველზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ადგილზე სიტუაციის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნის შესაბამისად, საყდრისის ტერიტორიაზე დაწყებული მადნის მოპოვებითი სამუშაოების შეწყვეტა უპირობოდ გამოიწვევს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების არაკონტროლირებად ეფექტებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2013 წლის 5 ივლისს, გამოცემული იქნა №03/108 ბრძანება, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიური ობიექტისათვის კანონის დარღვევით მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობას.

ამავე ბრძანების საფუძველზე, დაიწყო მუშაობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში მუზეუმის აშენების საკითხზე, სადაც განთავსდება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მოპოვებული კულტურული ღირებულების მქონე არტეფაქტები.

„საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის“ ტერიტორია ინარჩუნებს არქეოლოგიური დაცვის ზონის სტატუსს, შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას“. აქედან გამომდინარე, არქეოლოგიური სამუშაოების დასრულებამდე და არქეოლოგიური დაცვის ზონის არსებობის პირობებში, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის უსაფრთხოება კანონით არის სრულყოფილად დაცული“.

ზემოთმოყვანილი განმარტება დამაჯერებელი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება. კომისიის 35 დღიანი მუშაობის შედეგად ნამდვილად შესაძლებელი იქნებოდა ძეგლისათვის სტატუსის მინიჭებისას პროცედურული დარღვევების აღმოჩენა და ამ მიზეზით ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გაუქმება; მაგრამ ნათელია, რომ დროის ასეთ მცირე მონაკვეთში, ყოველგვარი დამატებითი კვლევების გარეშე, ძეგლის ღირებულების შესახებ დასკვნის მომზადება „***11 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა დარგის სპეციალისტი***ს“ შესაძლებლობებსაც კი აღემატება. ამასთან, დასკვნის სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს თავად დასკვნის ტექსტიც იძლევა, რომელსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

კომისიის დასკვნა

„„საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება, ამავე ბრძანების თანახმად, გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის[26] საფუძველზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული დასკვნა (არ არის დათარიღებული, ამდენად უცნობია როდის მომზადდა) მრავალ უზუსტობას და ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას შეიცავს. მსჯელობა ხშირად წინააღმდეგობრივია, ტენდენციურია და სცილდება კომისიის კომპტენციას:

1. დასკვნის 1-ლი თავის თანახმად, ძეგლის შესაბამისი დეტალური არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, კვლევის სანებართვო დოკუმენტაცია და ოფიციალური ანგარიშები არ ყოფილა კომისიისათვის მიწოდებული, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ 2004-2005 წლების არეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშების არსებობა ვერ დასტურდება. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არქეოლოგიური კვლვების ჩატარების ფაქტს წლების

[26] http://www.culture.gov.ge/misc/topic/1373981282.PDF

განმავლობაში აღიარებდა საყდრისის საბადოზე წიაღით სარგებლობის უფლების მქონე კომპანია. ასევე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი დასკვნის[27] თანახმად, ტექნიკურ მეცნირებათა კანდიდატებსა და აკადემიურ დოქტორებს, ნ. შეყრილაძეს და რ. მიხელსონს შესაფასებლად გადაეცათ საყდრისის საბადოს ფარგლებში ჩატარებული არეოლოგიური კვლევის მასალები, მათ შორის - ირ. ღამბაშიძე, თ შტოლნერი და სხვ. - ოქრო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, სამთო არქეოლოგიური გათხრები საყდრისში, 2005 წლის ანგარიში. ასევე, საყურადღებოა საქართველოს არქეოლოგიური კომისიის მიერ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, ქალბატონი ირინე ღამბაშიძის სახელზე 2005 წლის 16 მაისს გაცემული ნებართვის ასლი[28], რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში უნდა ინახებოდეს.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალური ცნობის მიხედვით საყდრისის არქეოლოგიურ ობიექტზე 2004-2005 წ.წ. ჩატარებული არექოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები არ მოიპოვება აკადემიის მთავარ არქივში. ხსენებული ანგარიშები, ასევე ოფიციალური ცნობით, არ მოიპოვება არც კულტურის სამინისტროში და არც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში. გაურკვეველი მიზეზებით არ მოხდა დოკუმენტაციის საქართველოს ეროვნული მუზეუმისაგან გამოთხოვა, მიუხედავად იმისა, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ინფორმირებული იყო რომ, საკვლევ ტერიტორიაზე კვლევებს სწორედ საქართველოს ეროვნული მუზეუმი ატარებდა. გარდა ამისა, სამინისტროში წარდგენილი იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის უფროსის, ზ. მახარაძის 2013 წლის 11 ივნისის წერილი[29], რომელშიც დეტალურად აღწერილია ძეგლის არქეოლოგიური კვლევისათვის ჩატარებული სამუშაო და არსებული სიტუაცია. წერილში, ასევე, გამოთქმულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის მზაობა ითანამშრომლოს კულტურის სამინისტროსთან, რათა კომისიისათვის მიწოდებული ყოფილიყო ობიექტური მონაცემები ძეგლის შესახებ, რომელიც დაფუძნებულია მრავალწლიან საერთაშორისო მეცნიერულ კვლევებზე. არც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და არც მინისტრის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ არ ისარგებლა ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის შეთავაზებით, ხოლო კომისიამ დასკვნაში დაწერა, რომ არქეოლოგიური კველევები არ ჩატარებულა.

2. არსებული კვლევების სათანადოდ მოძიების გარეშე კომისიამ დაასკვნა, რომ (დასკვნის მე-3 თავი) *„იმდენად, რამდენადაც 2006 წელს არ არსებობდა არავითარი საფუძველი ე.წ. „უძველესი მაღაროს“ ძეგლად გამოცხადებისა, რადგანაც ასეთი ობიექტი არც ცნობილი იყო და არც დადასტურებული, მისი ძეგლად გამოცხადება მოხდა იმ დროისათვის მოქმედი „კულტურული მემკვიდრეიბის დაცვის შესახებ“ კანონით, აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დაწესებული ნორმებისა და პროცედურების უხეშად დარღვევით, რაზეც არსებობს კომისიის დასკვნა (კომისიის ოქმი #1 30.05.2013)“*. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კომისიის დასკვნა. წარმოდგენილია მხოლოდ კომისიის 2013 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, რომელზეც მოისმინეს თ. ჩიხრაძის მოხსენება სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის შედეგების თაობაზე. ოქმს არ ახლავს დასკვნის არსებობისა და მოხსნებაში მოყვანილი ფაქტების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

3. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნის პირველ თავში საუბარია არქეოლოგიური კვლევებისა და ძეგლის ღირებულების დასაბუთების არ არსებობაზე, დასკვნის მე-4 თავში აღნიშნულია, რომ *„არქეოლოგიური თვალსაზრისით უძველესი ოქროს მაღაროს დასაბუთება არ არის დამაჯერებელი და შეიცავს არაერთ მნიშვნელოვან და სერიოზულ ხარვეზს“.* აღნიშნულიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ გარკვეული კვლევები მაინც იყო კომისიის მიერ განხილული, თუმცა არ არის მითითებული რა კვლევებზეა საუბარი.

4. დასკვნის მე-6 თავში „ძეგლის არსებულ სტატუსთან შესაბამისობა გეოლოგიური თვალსაზრისით“ წარმოდგენილია კომისიის მთავრი არგუმენტი, რომელიც გახდა საყდრისის უძველესი მაღაროსათვის სტატუსის მოხსნის საფუძველი. კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია, რომ საყდრისის საბადოს, მათ შორის ყაჩაღიანის უბნის მადნები ძირითადად ღარიბია, ოქროს დაბალი ან საშუალო შემცველობით. ხილული ოქრო დღემდე ცნობილი არ არის, საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე შეიძლება ადგილი ჰქონოდა მხოლოდ სპილენძის და არა ოქროს მოპოვებას. ამიტომ, საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო სინამდვილეში ჩვეულებრივი ძველი სპილენძის მაღაროა, რომელიც მრავლად არის დაფიქსირებული საქართველოში და არ წარმოადგენს უნიკალურ მოვლენას. დასკვნაში არ არის მითითებული რა კვლევებსა და მონაცემებს დაეყრდნო კომისია ზემოთმოყვანილი მოსაზრების გამოთქმისას, აღნიშნული თავი სრულად ეყრდობა კომისიის წევრების, ა. თვალჭრელიძისა და ო. ქუცნაშვილის მიერ მომზადებულ დასკვნას, რომელიც თავის მხრივ ძეგლთან მიმართებაში განხილულ ყველა საკითხში ეყრდნობა იგივე ა. თვალჭრელიძის სხვადასხვა დროის გამოცემებს და მოსაზრებებს, რაც დაკვნის სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა, ხოლო სხვა გამოცემებზე

[27] http://www.culture.gov.ge/misc/topic/1373981312.PDF

[28] http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/08/annex12.pdf

[29] http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/08/annex13.pdf

დაყრდნობით მოყვანილი დასკვნები ეჭვის გაძლიერების საბაბს იძლევა. ასე მაგალითად, დასკვნის მე-6 გვერდზე მოყვანილია შემდეგი სახის მტკიცება: ***„არ***ქეოქლოგიური ძეგლი „საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო“ სინამდვილეში ასეთს არ წარმოადგენს, არამედ არის ჩვეულებრივი ადრე ბრინჯაოს ხანის სპილენძის მომპოვებელი მაღარო, რომელიც მრავლად არის გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე[15]“. ამ წინადადების წყაროდ მითითებულია შემდეგი : I gambashidze, A Hauptmann, R. Slotta and Uyalcin (eds.), Georgien Schtatze aus dem Land des Goldenen Vlies. Bohum, 2001. გარდა იმისა, რომ 2006 წელს ძეგლად აღიარებულ ობიექტზე მსჯელობისას მოყვანილია 2001 წლის ანგარიში, წარმოდეგნილი მოსაზრება არ ეკუთვნის გამოცემის ავტორებს.

ბატონი ალექსანდრე თვალჭრელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრებების სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს მწვანე ალტერნატივას, მის მიერ პალიტრა ტვ-ის ეთერით ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციაც აძლევს. ბატონმა თვალჭრელიძემ პალიტრა ტვ-ის გადაცემა “აქ და ახლას” 2013 წლის 23 აპრილის გამოშვებაში[2] განაცხადა, რომ მწვანე ალტერნატივამ ჩაატარა კვლევები, რომელიც ადასტურებს, რომ მადნეულის კარიერიდან ჩამონადენი წყალი იმდენად სუფთაა, რომ მისი დალევაც კი შეიძლება. მწვანე ალტერნატივას არათუ მსგავსი დასკვნა არ გაუკეთებია, არამედ კვლევაც კი არ ჩაუტარებია მდ. მაშავერაზე. გარდა ამისა, არ არსებობს არცერთი სხვა ორგანიზაციის მსგავსი შინაარსის დასკვნა.

კომისიამ არ განიხილა კვარციტისა და მადნეულის საინფორმაცია გეოლოგიური ანგარიშები, რომელსაც კომპანიები ყოველწლიურად წარადგენენ ლიცენზიის გამცემ უწყებაში და რომელიც ადასტურებს, რომ საყდრისის საბადოზე ოქროს მნიშვნელოვანი მარაგებია, რაც ეწინააღმდეგება დასკვნაში მოცემულ მოსაზრებას და წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ საყდრისი ნამდვილად არის ოქროს საბადო.

5. კომისიის დასკვნის მე-7 თავში მოყვანილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ კომისიამ განიხილა საკითხი, რომელიც მის კომპეტენციას სცილდებოდა. კერძოდ, ძეგლის, როგორც ტურისტული ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ძეგლის ტურისტულ ობიექტად გამოყენების შესაძლებლობა არანაირად არ უკავშირდება ძეგლის არეოლოგიურ ღირებულებას. არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენციიის[31], ლა, ვალეტა – 16.01.1992 მე-2 მუხლის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია ჩამოაყალიბოს, ყოველი სახელმწიფოსათვის შესაფერისი საშუალებები, არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის იურიდიული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს არქეოლოგიური ნაკრძალების შექმნას, თუნდაც ძეგლების ხილული ნიშნების გარეშე, მიწის ზედაპირზე თუ წყალში, მომავალი თაობებისათვის შესასწავლი მატერიალური მასალის კონსერვაციის მიზნით. პირიქით, იმავე კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ არქეოლოგიური ადგილების მნახველისათვის გახსნა და განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი მნახველის მიღების მოწყობა, ზიანს არ აყენებდეს ამ ადგილების და მათი გარემოს არქეოლოგიურ და მეცნიერულ ხასიათს.

6. კომისიამ იმსჯელა საკითხზე, რომელიც არ შედიოდა მის კომპეტენციაში. კომისიის საბოლოო დასკვნის მე-8 თავიდან და კულტურისა და ძეგლთა თაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 27 ივნისის წერილიდან ირკვევა, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გარემოს ეროვნული სააგენტოს სთხოვა მოსაზრების წარდგენა შპს RMG Gold-ის „საყდრისი-ყაჩაღიანის“ სალიცენზიო ობიექტზე საბადოს დამუშავების შეჩერების შემთხვევაში, საინჟინრო-გეოდინამიკური სიტუაციის და გარემოს დაბინძურების შესაძლო გართულებებზე. აღსანიშნავია, რომ წიაღით სარგელობის შეჩერებისა და მისი ეკოლოგიური შედეგები საკითხი არათუ კომისიის, არამედ საერთოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კომპეტენციას სცდება.

გარდა იმისა, რომ კომისიას საერთოდ არ უნდა განეხილა აღნიშნული საკითხი, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად მომზადებული მოსაზრება (და არა დასკვნა, როგორც ეს მითითებული კომისიის საბოლოო დასკვნაში) კომისიამ ტენდენციურად არასწორი დასკვნების მისაღებად გამოიყენა. კერძოდ, გარემოს ეროვნული სააგენტოს მოსაზრებაში აღნიშნულია, *„ვიზუალურმა* დათვალიერებამ გვიჩვენამ, რომ ზემოაღწერილ უბანზე სამუშაოების შეჩერება, რეკულტივაციის გაუტარებლად, უპირობოდ გამოიწვევს პროცესების მკვეთრ გაუარესებას, რასაც შედეგად მოჰყვება ფერდობის სრული დეგრადაცია. მოხდება ნაშალი გრუნტის ინტენსიური ჩარეცხვა უსახელო მდინარეში და არ გამოვრიცხავთ უხვი ატოსფერული ნალექის მოსვლის შემთხვევაში, უსახელო მდინარის კალაპოტის გადაკეტვას, შემდგომში ღვარცოფული ნაკადის ფორმირებით. რაც შეეხება ლიცენზირებული ობიექტის ოთხ უბანს, სადაც გაყვანილია დროებითი მოსისავლელი გზები, მათ არსებულ მდგომარეობაში დატოვებამ, შესაძლებელია გამოიწვიოს ფერდობული პროცესები.

[30] http://www.palitratv.ge/aq-da-akhla/30207-qaq-da-akhlaq-stumari-aleqsandre-thvaltcrelidze.html

[31] საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 23 თებერვლის N 158 დადგენილებით

საბადოს ტერიტორიაზე დაწყებული საექსპლუატაციო სამუშაოების (მათ შორის გადახსნის, გამოსატუტი მოედნების მშენებლობის, მისასვლელი გზების გაყვანის ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვა) შეწყვეტის შემთხვევაში იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ მივიღებთ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების არაკონტროლირებად ეფექტებს, რომლებიც უკავშირდებიან გადახსნილი კარიერიდან მძიმე მეტალებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების წარმოქმნას, ამტვერებასა და სხვა არაპროგნოზირებად ფაქტორებს, რასაც შედეგად მოჰყვება გარემოს გარდაუვალი და მნიშვნელოვანი დეგრადაცია. სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე სამუშაოს შეჩერებამ შესაძლებელია ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს“.

აღსანიშნავია, რომ წიაღის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, *„წიაღით სარგებლობის დასრულებისას ან წიაღით სარგებლობის სხვა მიზეზით შეწყვეტისას, თუ არ არსებობს წიაღით შემდგომი სარგებლობის პერსპექტივა, სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება ეკისრება წიაღით მოსარგებლეს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“*. ამდენად, გაუგებარია, საერთოდ რატომ განიხილა გარემოს ეროვნულმა სააგენტომ რეკულტივაციის გაუტარებლად სამუშაოების შეჩერების პერსპექტივა. გარდა ამისა, ეროვნული სააგენტოს მიერ მომზდებული მოსაზრების თანახმად, საკვლევ ოთხ უბანზე უკვე გაყვანილია დროებითი გზები და ჩატარებულია ძებნა-ძიებითი სამუშაოები, მეხუთე უბანზე კი მიმდინარეობს საექსპლუატაცია სამუშაოები, მათ შორის გამოსატუტი მოედნების მშენებლობა - რისი ნებართვაც RMG Gold-ს არ გააჩნია. შესაბამისად, ეროვნულ სააგენტოს უნდა დაეფიქსირებინა ტერიტორიაზე უკანონო ქმედებების ფაქტი და არ ემსჯელა ასევე, კანონის დარვევით რეკულტივაციის გაუტარებლად სამუშაოების შეჩერების თაობაზე.

2013 წლის 13 აგვისტოს მწვანე ალტერნატივამ მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს და მოითხოვა RMG Gold-ის მიერ გამოსატუტი მოედნის მშენებლობის კანონიერების შესწავლა. 26 აგვისტოს მწვანე ალტერნატივას ეცნობა, რომ ინფორმაცია გადაგზავნილია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში შემდგომი რეაგირებისათვის. 2013 წლის 18 სექტემბერს მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ და მოკვლევის დასრულების სავარაუდო ვადის შესახებ. ასევე, ორგანიზაცია დაინტერედა შეჩერებული იყო თუ არა გამოსატუტი მოედნის მშენებლობა. 2013 წლის 1 ოქტომბერს გარემოს დაცვის სამინიტრომ მწვანე ალტერნატივას აცნობა, რომ „გარემოსადცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, შპს RMG Gold-ის მიერ გამოსატუტი მოედნის მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს საკითხის შესწავლა და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში გატარებული იქნება კანონით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები“. წერილის შინაარსიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ თვენახევრის განმავლობაში წარმოებული მოკვლევის შედეგად დარღვევები ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი. შესწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციას მწვანე ალტერნატივა განცხადების წარდგენიდან 2,5 თვის თავზეც არ ფლობს.

7. კომისიამ განიხილა ეკონომიკური საკითხები, რომლის კომპეტენცია კომისიის არცერთ წევრს გააჩნდა. დასკვნაში გაუგებარი საფუძვლით შედარებულია ძეგლის ტურისტულ ობიეტად გადაქცევის შემთხვევაში ქვეყნის შემოსავლები და საყდრისის საბადოს დამუშავების შემთხვევაში 7-8 წლის განმავლობაში ქვეყნის ბიუჯეტში გასადახადების სახით შესული სავარაუდო თანხა. შეფასების სანდოობის დაბალ ხარისხზე მეტყველებს გაურკვეველი წყაროზე დაყრდობით მოყვანილი შემოსავლებისა და დაგეგმილი ინვესტიციების ოდენობა, რომლის ვალდებულება არსად არის დაფიქსირებული. ასევე, დასკვნას არ ახლავს აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. გარდა, ამისა ეკონომიკური სარგებლიანობის დათვლისას არ არის გათვალისწინებული გარემოსთვის მიყებული ზიანის მონეტარული ღირებულება საბადოს სრულად ათვისების შემთხვევაში და ეროვნული მნიშვნელობის სტატუსის მქონე ძეგლისათვის წიაღის მოპოვების საბაბით სტატუსის მოხსნისა და ძეგლის განადგურებით ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შელახვით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგები.

საგულისხმოა, რომ ეკონომიკურ საკითხებზე კომისიამ არა მხოლოდ დასკვნის მიმოხილვით ნაწილში იმსჯელა, დასკვნით ნაწილში კომისია კვლავ გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და სახელმწიფო ინტერესებზეც კი იმსჯელა. კომისიამ დაადგინა, რომ *„დაუშვებელია საწარმოს ფუნქციონირების შემდგომი დაუსაბუთებელი, ხელოვნურად შეფერხება, რადგან ამგვარი მიდგომა სერიოზულად აზარალებს როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს და პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს“*.

8. კომისიის დასკვნების სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს ქვემოთჩამოთვლილი კომპეტენტური დაწესებულებებისა და მეცნიერების დასკვნები, რომელთა თანახმად, საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს მნიშვნელობის დაკნინება დაუშვებელია:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტენიკური ცენტრი „დელტას“ სსიპ გრიგოლ წულიკიძის სამთო ინსტიტუტის მიერ მომზადებული

„მოსაზრებები საყდრისის ძველი მაღაროს ისტორიული ძეგლის შესახებ“[32];

- საყდრისი ყაჩაღიანის უბნის უძველესი სამთამადნო ძეგლის შესახებ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის მყარი წიაღისეულის განყოფილების გამგე, გეოლოგ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი ვ.გელეიშვილისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორის ნ. ქაჯაიას დასკვნა[33];
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტენიკური ცენტრი „დელტას“ სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „საყდრისი უძველესი მაღაროს მადნური ქანების კვლევა[34].

ზემოთჩამოთვლილი დასკვენების არსებობა და ის გარემოება, რომ ძეგლისათვის სტატუსის მოხსნა საზოგადოებისათვის მხოლოდ მინისტრის შესაბამისი ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი, ხოლო გადაწყვეტილების საფუძვლების შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განცხადება მხოლოდ 2013 წლის 16 ივლისს (აქტის გამოცემიდან 11 დღის შემდეგ) გამოაქვეყნა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პროცესი დახურულად, დაინტერესებული საზოგადოების არათუ მონაწილეობის, არამედ ინფორმირების გარეშე წარიმართა, რითაც სამინისტრომ დაარღვია „საზოგდოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის (ფარო, 2005)[35] ერთ-ერთი ფუძემდებლური პრონციპი, რომლის თანახმად, ხელმომწერი მხარეები აღიარებენ, *„რომ ყოველ ადამიანს* აქვს უფლება, საკუთარი არჩევანით გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობა, ამასთან პატივი სცეს სხვა ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ერთ-ერთი ასპექტია, რომელიც აღიარებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (1948), და გარანტირებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტით (1966)“; და დარწმუნებული არიან *„კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრისა და რეგულირების ამჟამად მიმდინარე პროცესებში საზოგადოების ყველა წევრის ჩართვის აუცილებლობაში“.*

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად, ხელი არ შეუწყო ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებების წარმოდგენას საყდრისის უძველესი მაღაროს ღირებულების შესახებ მსჯელობისას; ასევე, სამინისტრომ გარდა იმისა, რომ არ შეიმუშავა უთანხმოებათა მოგვარების პროცედურა, რათა ობიექტურად გადაწყდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა თემა ერთი და იგივე კულტურულ მემკვიდრეობას განსხვავებულ ღირებულებას ანიჭებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არათუ იზრუნა უთანხმოების მოგვარებაზე, არამედ მიზანმიმართულად არ განიხილა განსხვავებული მოსაზრებები.

[32] http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/08/annex17.pdf

[33] http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/08/annex18.pdf

[34] http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/08/annex19.pdf

[35] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2001 წლის 2 აპრილს.

პრობლემა მოგვარებულია

2013 წლის 8 აგვისტოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გამოსცა ახალი ბრძანება (#03/130), რომლითაც სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაევალა საყდრისი-ყაჩარიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის პროცესის მონიტორინგის განხორციელება და ამ მიზნით ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში სათანადო კომისიის შექმნა და ამ კომისიის ხელმძღვანელის შერჩევა კომპანია RMG-ის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებისაგან.

ბრძანებით, სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დაევალათ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების დაუყოვნებლივ განხორციელება საყდრისი-ყაჩარიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით. ამავე ბრძანებით, კომპანია RMG-ის მიეცა თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში აწარმოოს ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებს ან არ შეუქმნის დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს.

აქვე შევახსენებთ მკითხველს, რომ ამ ბრძანების გამოცემამდე სამი კვირით ადრე, 2013 წლის 16 ივლისს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სამინისტროს პოზიციის თანახმად, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ტერიტორიის ხელყოფისაგან გარანტი სწორედ არქეოლოგიური დაცვის ზონის არსებობა იყო. იგივეს ამტკიცებდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი სატელევიზიო კომენტარებში. თუმცა, სიამაყით გაცხადებული გარანტიის არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 2013 წლის 7 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება № 1436 „„გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17 ივლისის №3/225–№1-1/616 ერთობლივი ბრძანების ნაწილის გაუქმების შესახებ“, რომლითაც დაბა საყდრისში სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონაც გაუქმდა.

სამართლებრივი დავა პრემიერ-მინისტრის არასამართლებრივი ჩარევით

2013 წლის 5 აგვისტოს მწვანე ალტერნატივამ და ირინა ღამბაშიძემ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება, რომლითაც საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს უძრავი ძეგლის სტატუსი მოეხსნა, ადმინისტრსციული წესით საქართველოს მთავრობაში გაასაჩივრეს. მინისტრის იგივე ბრძანების გაუქმების მოთხოვნით მთავრობის კანცელარიაში წარდგენილი იყო ასევე, დავით სახვაძის, მარინე ცინცაბაძის, ჯუმბერ ხანთაძის, გიგო ჯანდიერის, რაულ გვეტაძის, გივი ინანიშვილის, ვანო თვალავაძის, რევაზ კანაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიამ ადმინისტრაციული საჩივრები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დარღვევით განიხილა. საჩივრის ზეპირი მოსმენა მხოლოდ 2013 წლის 26 სექტემბერს შედგა, ხოლო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პოზიცია საჩივრებთან დაკავშირებით მომჩივნებს რამოდენიმე დღით ადრე გადაეცათ.

საინტერესოა, რომ საჩივართან დაკავშირებით მთავრობის კანცელარიაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ამსახველი ორი დოკუმენტი იქნა წარდგენილი.

პირველ წერილი წარდგენილი იყო 2013 წლის 10 სექტემებრს, მინისტრის პირველი მოადგილის მარინე მიზანდარის ხელმოწერით. მინისტრის მოადგილე წერილში აღწერს იმ დროისათვის საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს ძეგლთან მიმართებაში განვითარებული მოვლენებს, მათ შორის ბრძანების გამოცემის შემდეგ სამინისტროში როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ კომისიის დასკვნისგან განსხვავებული მოსაზრებების (წერილს თან ერთვის აღნიშნულის ამსახველი დოკუმენტები) წარდგენის ფაქტს. წერილის დასასრულს მინისტრის მოადგილე მიუთითებდა, რომ *„... დარგის მეცნიერთა მიერ არგუმენტირებული დასაბუთებების საფუძველზე გამოიკვეთა აზრი, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი გადაადგილებისა და ადგილზე შენარჩუნების საჭიროების თაობაზე“.*

მინისტრის მოადგილის წერილი არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის. 2013 წლის 16 სექტემბერს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა წერილით მიმართა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს და აცნობა, რომ მინისტრის მოადგილე არ იყო უფლებამოსილი წარედგინა სამინისტროს დასკვნა ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით. დასკვნა მინისტრს უნდა წარედგინა და მიეწოდებინა სამინისტროს სამართლებრივი შეფასება სადავო საკითხებთან დაკავშირებით. კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის წერილის თანახმად, მინისტრის პირველი მოადგილის მიერ წარდგენილი დასკვნა ინფორმაციული ხასიათის იყო. მინისტრმაც არ დააყოვნა და უკვე 2013 წლის 17 სექტემბერს მთავრობის კანცელარიაში გააგზავნა რადიკალურად განსხვავებული დასკვნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სამინისტროს სადაო აქტის გამოცემისას არ დაურღვევია კანონის მოთხოვნები, ხოლო საჩივრის ავტორები არ იყვნენ უფლებამოსილნი გაესაჩივრებინათ მინისტრის ბრძანება, რადგან აქტის გამოცემას არ მოუხდენია მათ კანონიერ ინტერესებზე პირდაპირი და უშუალო გავლენა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული საჩივრების ზეპირი მოსმენა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში 2013 წლის 26 სექტემბერს 16.00 საათზე დაინიშნა. იმავე დღეს 11.00 საათზე საქართველოს პემიერ-მინისტრმა თავის ბიზნეს-ცენტრში საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს საკითხთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მიწვეულნი იყვენენ მთავრობის წევრები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები, საყდრისი-ყარაღიანის არქეოლოგიური ექსპედიცისა წევრები, კომპანია RMG Gold-ის წარმოადგენლები და ქალბატონი ირინა ღამბაშიძე - არქეოლოგიური კველვის ავტორი, რომლის საფუძველზეც 2006 წელს საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს ჯერ უძრავი ძეგლის, ხოლო მოგვიანებით ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა და მწვანე ალტერნატივას საჩივრის თანაავტორი.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მირიანე ოდიშარიამ ჟურნალისტებს განუცხადა: ***“საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი თემაა, რაზეც ჩემი სამინისტროში ყოფნისას რამდენიმე ბრძანება დავწერე. ჯერ კიდევ მიმდინარ***ეობს პროცესი, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანთან არის დაკავშირებული. ერთი მხრივ, <u>საქმე გვაქვს ძეგლთან, მეორე მხრივ კი, საწარმოსთან, რომელიც არ უდნა გაჩერდეს</u>***. ამის გამო ჩვენ ვეძებდით ოქროს გამოსა***ვალს და ალბათ, ის ვიპოვეთ კიდეც. პრემიერ-მინისტრთან გამართულ დღევანდელ შეხვედრაზე, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას კომისია, რომელიც სხვადასხვა უწყებებისა და დარგის სპეციალისტებით დაკომპლექტდება და შევიმუშავებთ პროექტს, ძეგლის გადმოტანასთან დაკავშირებით. ***...***როცა სახელმწიფოს სჭირდება, რომ

კონკრეტულ ადგილზე რაღაც სამუშაოები წარმართოს, ძეგლის გადატანა ყოველთვის ხდება. ამ შემთხვევაშიც, ძეგლი გადავა შესაბამის ლანდშაფტურ სივრცეში, იმ არსებული ზონიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, ეს იქნება ბოლნისში და ეს იქნება ტურისტებისთვის ერთ-ერთი საინტერესო ადგილი", – განაცხადა გურამ ოდიშარიამ"[36].

პრემიერ-მინისტრთან შემდგარი შეხვედრის შემდეგ საქართველოს მთავრობის კანცელარიაში ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა ლოგიკურად განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, შალვა თადუმაძე ხუთი საათის განმავლობაში გულმოდგინედ ისმენდა საჩივრების ავტორების არგუმენტებს, 2013 წლის 3 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობის განკარგულებას (#1430) „დავით სახვაძის, მარინე ცინცაბაძის, ჯუმბერ ხანთაძის, გიგო ჯანდიერის, რაულ გვეტაძის, გივი ინანიშვილის, ვანო თვალავაძის, რევაზ კანაშვილის ასოციაცია „მწვანე ალეტერნატივას" და ირინა ღამბაშიძის, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ".

მწვანე ალტერნატივა და დავით სახვაძე დავას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განაგრძობენ. დავის მიმდინარეობასა და შედეგებს მწვანე ალტერნატივა თავის მორიგ ანგარიშში აღწერს.

[36] „გურამ ოდიშარია: საყდრისის ძეგლი არსებული ზონიდან ბოლნისში გადავა", 26 სექტემბერი, 2013 http://www.epn.ge/?p=167043

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ენერგეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების გაუმჯობესება; ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ, საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს “დედამიწის მეგობრების” საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციასთან; მწვანე ალტერნატივა 2008 წელს დაარსებული კოალიციის «გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის» წევრიცაა. 2010 წელს მწვანე ალტერნატივას ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე მიმართული კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის გაწეული წარმატებული საქმიანობისათვის.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org